

# ვერსია



ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი

№64 (820) 10 - 11 ივნისი, 2013 წელი

## გია ხუნიაშვილი:

### „სააკაშვილი „ქურდული სამყაროს“ ნათლიააა!“



გვ. 6

რა უთანხმოება მოუვიდა გოგა ხაინძრავასთან, იგეგმება თუ არა მთავრობის რეორგანიზაცია, ვინ შესთავაზა „შავი სადაროს“ შექმნა და რა ექსკლუზიურ ფაქტებს ფლობს მერაბიშვილზე პრემიერის მრჩეველი

## შსს youtube-ზე აზვირთული სკანდალური ვიდეოს ავტორის კვალზე გავიდა

სოციალურ ქსელებში გავრცელებული მოსაზრებით, კლიპის „შემკვეთი“ შესაძლოა, ნაციონალური მოძრაობის „სტაფია“. ამ ცნობას „ვერსიის“ კონფიდენციალური წყაროც ადასტურებს, რომლის თქმითაც, Hammad Zaman პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომელი, უფრო კონკრეტულად, გიორგი არველაძის „კამანდის“ წევრია... ძალოვნებმა Hammad Zaman, როგორც მოწმე, უკვე დაკითხეს ის მზადაა, გამოძიებასთან ითანამშრომლოს და ვიდეოს დამზადებისა და სოციალურ ქსელში გავრცელების დეტალები გაასაჯაროს.

გვ. 2



VOICE OF JIHAD

„რუსთავი 2“-ს ავლანეთში სააკაშვილის ვიზიტის კადრების გაშვება პრეზიდენტის ადმინისტრაციამ აიძულა ინსიდეტის გაუმართაობის დატყუარება

## განათლების მინისტრად „რესპუბლიკელ“ დავით ზურაბიშვილს ამზადებენ?!



გვ. 5

„ყველამ ვიცით, საპრეზიდენტო არჩევნებში ბრძოლა, რეალურად, მეორე ადგილისთვის მიდის. რა თქმა უნდა, „ოცნების“ კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ფავორიტია, ხოლო მეორე ადგილზე დაფიქსირება ნაციონალებისთვისაა მნიშვნელოვანი. ბურჯანაძესა და კუკავას კი, სავარაუდოდ, ერთი კანდიდატი ეყოლება“

„მარგველაშვილის რეკომენდაციებზე ბევრს დამოკიდებული... საერთოდ, მიჩვენია, არსად ვმუშაობდე და ბევრი ფუდი მქონდეს!“

## რეპორტაჟი ავლანეთში დაღუპული ჯარისკაცების სამოქალაქო პანაშვილიდან

სოლომონ პავლიაშვილი  
ეროვნულ ბანკს  
ლარის ხელმძღვანელი  
გაუფასურებელი  
აღანაშვილებს



გვ. 8

ვიქტორ ლოლიძე: „ვერ ვიზიტი, რომ ავლანეთში ტერაქტი სააკაშვილის გამონათქვამებს მოჰყვას!“

„ვალისარებ: სისუდედა იმაზე საუბარი, რომ ვინმე ხუთ წელიწადში აფხაზეთს ან „ოსეთს“ ჩავვაბარებ!“



გვ. 4

„საბას“ დაზარალებული მოვაჭრეები მთავრობას სარეზერვო ფონდიდან დახმარებას სთხოვან

„ივანიშვილი ქვეყანაში, რეაღურად, პირველი პირია და მისი სიყვეა ბევრისთვის კანონი უნდა იყოს!“

გვ. 11

## გია ჯაჯანიძე საკუთარ ტვინს ყიდის!



გვ. 11

„ასკანელი ძებნი“ „ხარისხის ნიშნის“ მფლობელი გახდა!



გვ. 10

კომპანია ერთთვისანი მკაცრი კონტროლი წარმადებით გაიარა და საპატიო სერტიფიკაციც დაიმსახურა



„ჯიჰადის გამოცხადების შემდეგ, საქართველო დარტყმას „იბარაბ კავკასიდან“ უნდა ელოდოს“

youtube-ზე განთავსებულ ვიდეოსთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, თალიბანი საქართველოს თითქოს ჯიჰადს უცხადებს, საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს რუსეთის ისლამური კომიტეტის თავმჯდომარე შეიქი ჯემალი.

„ეს ბლოკბასტიერი თრილერს უფრო ჰგავს, ვიდრე ჯიჰადის ისეთ გამოცხადებას, რომელიც მუსულმანურ გარემოშია მიღებული. აქ არ არის მოშველიებული ყურანი. ამასთან, ვიდეოს ფონად გასდევს მუსიკა, რაც საერთოდ არ ჯდება თალიბანის სტილისტიკაში. ვინ გააკეთა ეს ვიდეო? — ჩემი აზრით, ეს ვიდეო შექმნეს მათ, ვისაც დარტყმის განხორციელება სურდა ან საქართველოს ნატო-ში განწევრიანების პერსპექტივაზე, ან ზოგადად, საქართველოს მუსულმანურ სამყაროსთან კავშირებზე. აქედან გამომდინარე, სულ მალე გახდება ცნობილი, თუ ვინ არის ამ ვიდეოს ავტორი“, — აღნიშნავს ჯემალი.

მისივე თქმით, თუ ვიდეოს ავტორები არ არიან თალიბები, მაშინ ესენი არიან ისეთი ძალები, რომელთაც თალიბების გეგმები კარგად იცოდნენ.

„თუ ვიდეოს ავტორები არ არიან თალიბები, მაშინ ვიდეო, რომელსაც აფეთქებაც მოჰყვა ქართულ სამხედრო ბაზაზე, მიანიშნებს იმას, რომ მისი ავტორები არიან ადამიანები, რომელთაც იცოდნენ თალიბების გეგმების შესახებ და, შესაძლოა, ისინი თალიბებთან საკუთარ გეგმებს ათანხმებდნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს ძალები ავღანეთის ომში მალულად მონაწილეობენ ნატო-ს ჯარების წინააღმდეგ. შესაძლოა, ისინი იყვნენ, ვისაც საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის შორის მტრობის გაღვივება სურდა, მაგალითად, ერთი მიზეზით — განაწევრებული ჯიჰადი, რომელსაც არ შეუძლია მისწვდეს მას, ვისაც ეს უშუალოდ ეხება, მაშინ მან მიზნად უნდა აიღოს ის, ვინც ყველაზე ახლოს იმყოფება მის მიზანთან. ასეთი კი ჩრდილოეთ კავკასიაა, „იბარაბ კავკასია“. მაშინ, ამ ვიდეოს შემდეგ, ლოგიკით, საქართველო „იბარაბ კავკასიდან“ უნდა ელოდეს დარტყმას. და თუ ახლა, ამ ვიდეოს შემდეგ, საქართველოში რაიმე მოხდება, მაშინ ჩვენ ვნახავთ შემდგომ რეაქციას. თუ ეს რეაქცია „იბარაბ კავკასიის“ წინააღმდეგ იქნება, ეს ერთი წყაროა, ხოლო თუ ის ნატო-ში შესვლის წინააღმდეგ მიმართული რეაქცია იქნება, ეს მეორე წყაროა. ჩვენ ისლამ დავკრჩინა, დავიცადოთ“, — აღნიშნავს პოლიტოლოგი.

„ივერონი“

განათლების სისტემიდან გათავისუფლებულ პირთა საქმის შემსწავლელი სპეციალური კომისია მუშაობას განაგრძობს



ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადებით მიმართა 830-მა პირმა, მათ შორის 587 ყოფილი მასწავლებელია, 220 კი — ყოფილი დირექტორი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათი სამსახურიდან გათავისუფლება პოლიტიკური შეხედულების გამო მოხდა.

განათლების სისტემიდან გათავისუფლებულ პირთა საქმის შემსწავლელმა სპეციალურმა კომისიამ მუშაობა 2012 წლის 14 დეკემბერს დაიწყო.

ოფიციალური ინფორმაციით, 2013 წლის 12 აპრილის მონაცემებით, 17 სხდომა გაიმართა, კომისია ყოველკვირულად იკრიბება და სამუშაო რეჟიმში განიხილავს მიმართევებს. არსებული მდგომარეობით, კომისიის მიერ განხილულია 667 მიმართვა, რომელთაგან 522 პირის განცხადებას დაუდგინდა ხარვეზი, რაც იმას ნიშნავს, რომ მიმართვის ავტორს ევალუა, ნარადგინოს ფაქტებისა და გარემოებების დამადასტურებელი დამატებითი დოკუმენტები. ხარვეზის შევსების მიზნით, მხოლოდ 222-მა განმცხადებელმა წარადგინა დამატებითი მომართვა და თანდართული დოკუმენტები. კომისიას ამ დროისთვის შესწავლილი აქვს 17 არსებითი საქმე, ხოლო განმცხადებელმა მიღებულია 10 მათგანზე. აქედან, მხოლოდ 3 შემთხვევაში დასტურდება პოლიტიკური შეხედულების გამო გათავისუფლების მოტივი.

„მედიაინუსი“

შსს youtube-ზე აზვირთული სკანდალური ვიდეოს ავტორის კვალზე გავიდა



„რუსთავი 2“-ს ავღანეთში სააკაშვილის ვიზიტის კადრების გაშვება პრეზიდენტის ადმინისტრაციამ აიძუდა ინფილტრაციის გაუხმაურებელი ღაზალები

ნათია აბაშიძე

6 ივნისს ავღანეთში დატრიალებულ ქართულ ტრავმების საზოგადოების ნაწილი კარგად დაგეგმილ პროვოკაციად აფასებს. ამ ვერსიას არსებობის უფლება, ცხადია, აქვს, მით უმეტეს, რომ 7 ქართველი ჯარისკაცის დაღუპვას ორი მნიშვნელოვანი დეტალი, ასე ვთქვათ, უძღვრება.

პირველი დეტალი: 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, საქართველოს პრეზიდენტი ავღანეთში სამშვიდობო მისიით მყოფ ჩვენი ბატალიონის წევრებს შეხვდა. ამ შეხვედრის ამსახველი ვიდეოკადრები სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-მა გაავრცელა. ვიდეოში ნათლად ისმის, სააკაშვილი ერთ-ერთ მეომარს ეკითხება: „შენ რამდენი კაცი მოკალი?“

მეორე დეტალი: 6 ივნისს, ანუ ტრავმების დღეს, დილის საათებში, youtube-ზე, ჯიჰადის სახელით, ვიდეო — „ჯიჰადი ავღანეთში საქართველოს ჯარების წინააღმდეგ“ — გავრცელდა, რომელიც ISAF-ის მისიაში მონაწილე საქართველოს შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ მუქარას შეიცავდა. ვიდეოში, გარდა იმისა, რომ ქართველი ჯარისკაცებიც იყვნენ ნაჩვენები, სააკაშვილის წინააღმდეგ მუქარაც ისმოდა: „ქვეყნის პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა აშშ-ს დასახმარებლად გამოგზავნა ჯარები ავღანეთში. ჯიჰადი ქართველ ჯარისკაცებზე შურს იძიებს. ავღანეთი ჩვენი მიზანია და ყველა, ვინც მის დაპყრობას შეეცადა, ალაჰისგან დაისაჯა. ახლა კი, ახალი ჯვაროსნები ჩამოვიდნენ საქართველოდან ჩვენი შვილებისა და ცოლების დასახოცად, ჩვენ ვიცით თქვენი სახელები, მისამართები, ნათესავები და მალე საქართველოში ჩამოვალთ! ჩვენ შურს ვიძიებთ!“

ვიდეოს გავრცელებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში, თვითმკვლელმა ტერორისტმა ქართულ ბაზაზე ტერორისტული აქტი განახორციელა, რასაც 7 ქართველი ჯარისკაცი შეწირა, რამდენიმე კი დაიჭრა.

ბუნებრივია, გაჩნდა მოსაზრება, რომ ტერორისტულ აქტსა და ზემოხსენებულ ვიდეოს შორის გარკვეული კავშირი არსებობს. ამასთან, სოციალურ ქსელებში გამოითქვა მოსაზრება, რომ „ჯიჰადის მუქარა“ youtube-ზე საქართველოდან აიტვირთა. აღსანიშნავია, რომ youtube-ზე სკანდალური ვიდეორგოლი Hammad Zaman-მა ატვირთა, რომელიც youtube-ს მომხმარებელად, გავრცელებული ინფორმაციით, ივნისის დასაწყისში, ანუ მას შემდეგ დარეგისტრირდა, რაც „რუსთავი 2“-მა ავღანეთში სააკაშვილის სტუმრობის კადრები გაავრცელა.

იმის დასადაგენად, თუ ვინ არის სკანდალური ვიდეოს ავტორი და ვინ გაავრცელა ის სოციალურ ქსელში, საქართველოს შს სამინისტრომ გამოიძიება იმავ დღეს — 6 ივნისსვე დაიწყო. ამასთან, როგორც ითქვა, ქართულმა მხარემ დასახმარებლად google-სა და youtube-ს ადმინისტრაციებსაც მიმართა.

ერთი სიტყვით, „ჯიჰადის სკანდალის“ გასაღები იმ ადამიანშია, რომლის კოდური სახელიც Hammad Zaman-ია.

სხვათა შორის, ვიდეოს გავრცელებისთანავე, სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ ვიდეო ჯიჰადის მუქარა კი არა, უფრო სარეკლამო რგოლია. მართლაც, საქმეში ჩახედულთა თქმით, თალიბების ვიდეომუქარები, როგორც წესი, სადაა — შეიარაღებული პირები, რომელთაც სახე დაფარული აქვთ, მუქარის ტექსტს არაბულად კითხულობენ, ამასთან, ვიდეომუქარაში მუსიკასა და სხვა მსგავს ატრიბუტებს არ იყენებენ. Hammad Zaman-ის სახელით გავრცელებული მუქარა კი, კლასიკური სარეკლამო რგოლია, რომელშიც მუსიკა თუ კომპიუტერული ეფექტები მრავლადაა გამოყენებული. ნიშანდობლივია, რომ ვიდეოში დიქტორი ტექსტს დახვეწილი ბრიტანულით კითხულობს...

სოციალურ ქსელებშივე გავრცელებული მოსაზრებით, კლიპის „შემკვეთი“ შესაძლოა, ნაციონალური მოძრაობის „სტაფია“. ამ ცნობას „ვერსიის“ კონფიდენციალური წყაროც ადასტურებს, რომლის თქმითაც, Hammad Zaman პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომელი, უფრო კონკრეტულად, გიორგი არველაძის

„კამანდის“ წევრია. „ვერსიის“ წყაროს კონფიდენციალური ინფორმაციითვე, შს სამინისტრომ Hammad Zaman-ის ნამდვილი ვინაობა უკვე დაადგინა და youtube-ზე სკანდალური ვიდეოს გამავრცელებელს მალე დააკავებს. წყაროს თქმით, ძალგებშია Hammad Zaman, როგორც მონქე, უკვე დაკითხეს და, როგორც მას განუცხადებია, ვიდეოს გავრცელების იდეა მაშინ გაუჩნდა, როცა ტელევიზიით 26 მაისს, ავღანეთში მიხეილ სააკაშვილის ვიზიტის ამსახველი კადრები ნახა.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოხვდა „რუსთავი 2“-ის ეთერში სააკაშვილის ავღანური ვიზიტის სკანდალური ვიდეომასალა, როგორც „ვერსიისთვის“ კონფიდენციალურად გახდა ცნობილი, ეს კადრები სამაუწყებლო კომპანიას პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მიანოდა. მას შემდეგ, რაც მასალა უნახავთ, არხის საინფორმაციო სამსახურის პროდიუსერებს განუცხადებიათ, რომ ამ ვიდეოს ეთერში გაშვება არ შეიძლებოდა, თუმცა პრეზიდენტის დაუინტეგრირებელი მოთხოვნითა თუ ზენოლით, სააკაშვილის ავღანური ვიზიტის ამსახველი კადრები „რუსთავი 2“-ის ეთერი მაინც გავიდა...

ერთი სიტყვით, თუ ზემოხსენებულ ვერსიებს კიდევ ერთხელ გავანალიზებთ, მივიღებთ სურათს, რომ ვიღაცას საქართველოში ნატო-ს საწინააღმდეგო კამპანიის აგორება სურდა და საამისოდ სისხლიან პროვოკაციაზეც წავიდა, ანუ თუ ქვეყანაში ნატო-ს საწინააღმდეგო კამპანია გააქტიურდება, გარკვეული ძალა, მაგალითად, ნაციონალური მოძრაობა დასავლეთს მტკიცებას დაუწყებს, ახალი ხელისუფლება საგარეო კურსს იცვლის და საქართველოს ჩრდილოეთისკენ მიაქანებსო, მაგრამ ეს ინტრიგა არ გაამართლებს, რამეთუ, როგორც „ვერსიის“ წყაროზე დაყრდნობით ზემოთ აღვნიშნეთ, შს სამინისტროსთვის იმ ადამიანის ვინაობა, რომელმაც სკანდალური ვიდეო youtube-ზე განათავსა, ცნობილია და მალე დააკავებს.

ქულუარული ვერსიითვე, Hammad Zaman მზადაა, გამოიძიებასთან თანამშრომლობს და ვიდეოს დამზადებისა და სოციალურ ქსელში გავრცელების დეტალები გაასაჯაროს.

პოლიტიკური ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე ვერსიას, რომ ყოუტუბე-ზე თალიბების სახელით გავრცელებული ვიდეომასალა შეიძლება, საქართველოდან იყოს ატვირთული, პირდაპირ თუ ირიბად, იზიარებს და აცხადებს:

„ამ ტრავმებში დანაშაული მიუძღვის საქართველოს პრეზიდენტადნობულ სააკაშვილს იმიტომ, რომ 26 მაისს შემადრწუნებელი კადრები გაავრცელა პრეზიდენტის ადმინისტრაციამ. მან, ფაქტობრივად, სამიზნედ გახადა სრულიად მიზანმიმართულად ავღანეთში დისლოცირებული ქართული საჯარისო ფორმირებები. თალიბების განცხადების გარეშეც ცხადი იყო, რაც მოხდებოდა. საქართველოს პრეზიდენტმა საკუთარი ჯარისკაცები ისევე, როგორც თავისი სახელისუფლებო კარიერის მანძილზე არაერთხელ გაუკეთებია, განადგურების სამიზნედ აქცია... სააკაშვილი დაკავებულია პირდაპირი შურისძიებით საკუთარი მოსახლეობის მიმართ იმის გამო, რომ არ აირჩია მისი პარტია 1 ოქტომბერს. ასევე, შურისძიების აქტს ახორციელებს აშშ-ს ადმინისტრაციის წინააღმდეგაც, რადგან აშშ-ს ადმინისტრაციამ არ მისცა უფლება, საკუთარი პარტია უკანონოდ დაეტოვებინა ხელისუფლებაში 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ.“

# ჩეპორბაჟი ავღანეთში დაღუპული ჯარისკაცების სამოქალაქო პანაშვილიდან

ენო სარპილაძე

599-55-63-56

6 ივნისს ავღანეთში, ჰელმანდის სამხედრო ბაზაზე დაღუპული 7 ქართველი სამხედროს სამოქალაქო პანაშვილი 9 ივნისს, 19:00 საათზე სამების საკათედრო ტაძარში გაიმართა... ტაძრის ეზო მრევლითა და სამხედროებით იყო სავსე. სამხედრო მალაჩინოსნები საორგანიზაციო საკითხებს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურთან ათანხმებდნენ... სამებაში სასწრაფო დახმარების ბრიგადებიც იყო მობილიზებული.

ტაძარში, პირველები, ავღანეთში დაღუპული 22 წლის მცხეთელი ზვიად სულხანიშვილის ჭირისუფლები მოვიდნენ. — ზვიადი 18 წლიდან ჯარში იყო — სავალდებულო სამსახური რომ მოიხადა, კონტრაქტით დარჩა. ათასი გეგმა ჰქონდა და ავღანეთშიც ამიტომ წავიდა, — მეუბნება ზვიადის მამიდაშვილი.

— ზვიადის ოჯახს ფინანსურად უჭირდა? — არა, მაგრამ ხომ იცით ახალგაზრდების ამბავი? — აქ 700-ლარიანი ხელფასი ენახებოდა, იქ კი, 800 დოლარი ჰქონდა. ფიქრობდა, ცხოვრებას მოვიწყობო, მაგრამ არ დასცალდა...

ამასობაში, ტაძრის ეზოში სხვა გმირების ჭირისუფლებიც გამოჩნდნენ... 26 წლის მიხეილ ნარინდოშვილის დედა ცხარე ცრემლით ტიროდა, ერთადერთი ულამაზესი, ცისფერფერა ლევა შვილი დავკარგე, ჩემს სიცოცხლეს აზრი აღარ აქვსო... ჭირისუფლებს სამხედრო მალაჩინოსანთა ნაწილი მოჰყვა... სამების ტაძრის შესასვლელში მალე თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანიაც გამოჩნდა, მერე ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადურცი მოვიდა... სამხედრო და სასულიერო პირები, ჩოხოსნები ელოდნენ ცხედრების მოსვენებას... 7 კუბო ტაძარში შეასვენეს.

ავღანეთში დაღუპულ ქართველ გმირთა დედებს პირველად ირაკლი ალასანიამ მიუსამძიმრა, თავდაცვის მინისტრის შემდეგ, შვილმკვდარ დედებთან საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მეუღლესა და მთავრობის სხვა წევრებთან ერთად მოვიდა. მისამძიმრების დროს, ბიძინა ივანიშვილსა და ნოდარ ხადურს ცრემლები წამოუვიდათ...

„კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ ამ საშინელი ტრაგედიისას დაღუპული ჩვენი ჯარისკაცების ოჯახებს, ახლო ნათესავებსა და სრულიად საქართველოს. ეს ბიჭები ჩვენი ქვეყნის უკეთეს მომავალს შეენიერნენ“, — განაცხადა პრემიერმა...

გარდაცვლილთა ოჯახებს პარლამენტარებმა და საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა მიუსამძიმრეს. პანაშვიდს რიგითი თბილისელები და უცხოელებიც ესწრებოდნენ.

„ეს ბიჭები ვაჟკაცები და პატრიოტები იყვნენ — იცოდნენ, რა სიკეთესაც მოუტანს საქართველოს ავღანეთის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობა“, — ამბობდა ხალხი...

სამების ტაძარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ეპისკოპოსებთან ერთად მობრძანდა — გარდაცვლილთა ოჯახებს მიუსამძიმრა და პარაკლისი გადაიხადა.

რამდენიმე ჭირისუფალი შეუძლოდ გახდა, თუმცა ექიმებმა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის დასტაბილურება მალევე შეძლეს. ტაძარში პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რომ გამოჩნდა, რვას ოცი წუთი აკლდა და, დაახლოებით, 5 წუთში იქაურობა უკომენტაროდ დატოვა.







ბიკა მიხეილაძე

593-51-90-12

„პრემიერ-მინისტრი არავისზე ბრალდება — ჩათვალეთ, რომ ჩვეულებრივ ადამიანს ესაუბრებით. მას უყვარს დისკუსია, კამათში შესვლა, ჟურნალისტს, როგორც თანასწორს, ისე უდგება, რომელსაც შეიძლება ეკამათოს კიდევ, მაგრამ ეს ჩვეულებრივ მოვლენად უნდა მიიღოთ. თქვენც ეკამათეთ — ამის პრობლემა არ აქვს და, სხვათა შორის, უყვარს, როდესაც ეკამათებინან... ბევრ მდიდარ ადამიანთან მიმუშავია და ვიცი, გარკვეული დროის შემდეგ, მდიდარი ადამიანი თავისი სიმდიდრის მძევალი ხდება. ბიძინა ივანიშვილის უნიკალობა ისაა, რომ მისთვის კეთილდღეობა არაფერს წარმოადგენს, სიმდიდრე საშუალებაა, რომ სიკეთე აკეთოს“, — ასე ახასიათებს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს მრჩეველი გია ხუხაშვილი. როგორ აფასებს მიმდინარე გეოპოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხებს, რას ფიქრობს ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების დაჭერაზე და იგეგმება თუ არა მთავრობის რეორგანიზაცია? — „ვერსიის“ კითხვებს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი, ბიკა ხუხაშვილი პასუხობს.

# ბიკა ხუხაშვილი: „სააკაშვილი „ქურდული სამყაროს“ ნათლიამაა!“



### რა უთანხმოება მოუვიდა გოგა ხინდრავასთან, იგეგმება თუ არა მთავრობის რეორგანიზაცია, ვინ შესთავაზა „შავი სადაროს“ შექმნა და რა ექსკლუზიურ ფაქტებს ფლობს მერაბიშვილზე პრემიერის მრჩეველი

— ბატონო გია, მოდიოთ, საუბარი 6 ივნისს, ავლანეთში მომხდარი ტრაგედიით დავიწყეთ: 7 ქართველი სამხედროს დაღუპვას 26 მაისს, ავლანეთში მიხეილ სააკაშვილის ვიზიტთან კავშირი აქვს?

— ეს ძალიან მძიმე ბრალდებაა და არ მინდა, 26 მაისის განცხადებები ამ ტრაგედიას დავუკავშირო. არ ვამბობ, რომ ეს განცხადებები პრეზიდენტმა შეგნებულად გააკეთა, ვინც ეს, ყოვლად წარმოუდგენელი განცხადება მოისმინა, თუ რამდენი თალიბანი მოკლეს ჯარისკაცებმა, ვფიქრობ, აზრი გაუჩნდა, რომ ფარული, კულისური პოლიტიკური პროცესი ერთმანეთზე მიება.

ვინ იყო, არ ვიცი, შესაძლოა, მართლაც, რუსული სპეცსამსახურების მიერაა გაკეთებული, მაგრამ პროვოკატორი, ამ შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილია, რომელმაც, პრაქტიკულად, საფრთხის წინაშე დააყენა ქართველი ჯარისკაცები — ის ხომ ცნობილი მხდელი ადამიანია და ეტყობა, ამ ჯარისკაცების ვაჟკაცობა მოეწონა. სააკაშვილს დღესაც არ ესმის, რომ ადამიანების სიცოცხლე ეთამაშება, მისთვის ადამიანები ვირტუალური არსებები არიან, რადგან თვითონ ვირტუალურ სამყაროში ცხოვრობს. სააკაშვილს რეალობასთან შეხება არ აქვს და მხოლოდ ინსტინქტებით არსებობს, მოშივდება — შეჭამს, გართობა მოუნდება — გაერთობა, ზოგჯერ ომობანასაც ითამაშებს, ოღონდ სხვების ხარჯზე.

— ნაციონალური მოძრაობის მთავარი პრობლემა გადაჭარბებული პიარი იყო და ეს თქვენც არაერთხელ გითქვამთ, „ქართული ოცნების“ მთავარი პრობლემა კი, დამეთანხმებით, პიარზე უარის თქმაა. პიარტექნოლოგიების სპეციალისტი ბრძანდებით და ამ მიმართულებით ბიძინა ივანიშვილს რატომ არაფერს ურჩევთ?

— ბატონი ბიძინა თავისებური ადამიანია იმ გაგებით, რომ წინა წლებში, შინაარსობრივად, არაფერი კეთებოდა, მაგრამ კეთილდღეობის ფასადი იქმნებოდა. პრემიერი მცდელობას არ აკლებს, ქვეყანაში შინაარსობრივად ბევრი რამ შეცვალა და პრინციპულად არ მიიჩნევს საჭიროდ, ამაზე ისაუბროს. შესაძლოა, ეს მისი შინაგანი პროტესტია იმ მიმართ მემკვიდრეობის მიმართ, როცა ქვეყანაში არსებულ გაჭირვებას მოჩვენებითი კეთილდღეობით ფუთავდნენ. მეორე მხრივ, სიმართლე გითხრათ, მეც არ ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით დიდი ძალისხმევა უნდა მივმართოთ. მინიმუმ კეთდება, შესაძლოა, მეტია საჭირო, განსაკუთრებით, საერთაშორისო ურთიერთობებში — საერთაშორისო პიარის თვალსაზრისით, მეტი უნდა გაკეთდეს და იმიტომ, დროთა განმავლობაში, ეს მდგომარეობა გაუმჯობესდება.

— სხვათა შორის, უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერიაც ზუსტად ამას გულისხმობდა, როცა ერთ-ერთ ტელეინტერვიუში ბიძინა ივანიშვილის მთავრობას მოუწოდებდა, ნატო-სა და ევროკავშირში ქვეყანას საკუთარი ლობისტური ჯგუფები სჭირდება და დაფინანსება, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ უშიშროების საბჭოს შეუმცირა, სწორედ ამ ლობისტურ ჯგუფებზე იხარჯებოდაო...

— პირდაპირ გეტყვით: ეს ცინიკური რჩევაა, რადგან მთავარი ბრალდება, რაც შესაძლოა, ბოკერიას მიმართ სისხლის სამართლებრივ დევნაში გადაიზარდოს, ისაა, რომ ზედმეტ ძალისხმევას იჩენდა ამ მიმართულებით. ბუნებრივია, ამ რიტორიკით ალბის იქმნის, საჭირო იყო და იმიტომ ვაკეთებდით, ანუ პირადი ინტერესი აქვს.

ბოკერია ნაციონალური მოძრაობის სხვა წევრებისგან იმით განსხვავდება, რომ აქვს უნარი, ნახევარი სიმართლე თქვას, სტერილურ ტყუილს არასოდეს ამბობს და ლამაზად ფუთავს, რაც მის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე მეტყველებს.

ლობისტებთან მუშაობა და დასავლეთში ჩვენი ინტერესების ლობირება, რა თქმა უნდა, საჭიროა, ევროკავშირი იქნება თუ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, მაგრამ ჩემი აზრით, მთავარი შინაარსია. იმაზე მეტი რა უნდა გააკეთოს საქართველომ, ან იმაზე მეტი რა უნდა გადაიხადოს, რაც თუნდაც 6 ივნისს გადაიხდა?

— საქართველოს საგარეო ორიენტაციასთან დაკავშირებით, დასავლეთში კითხვის ნიშნები უკვე მოიხსნა, მაგრამ ვანო მერაბიშვილისა და ნაცმოძრაობის სხვა მაღალჩინოსნების დაკავებაზე გარკვეული მინიშნებები მაინც გაკეთდა, რომ დასავლელი პარტნიორები ამ პროცესს დააკვირდებიან, რათა გაირკვეს, ეს სამართლიანობის აღდგენა თუ პოლიტიკური რევანში?

— ეს სტანდარტული ფრაზაა, რადგან ისინი ორ მხარეს ხედებიან — ხელისუფლებასა და უმცირესობას, რომელიც ამ პროცესს პოლიტიკურ დევნად აღიქვამს. შესაბამისად, მათი ზომიერი რიტორიკა აქედან გამომდინარეობს, რადგან იძულებული არიან, უმცირესობას ხარკი გადაუხადონ. სხვა საკითხია, სინამდვილეში რას ფიქრობენ, მაგრამ საერთაშორისო ინსტიტუტებს ამ ტიპის რიტორიკა ახასიათებთ. დარწმუნებული არ ვარ, რომ ისინი ამ პროცესს ლუპით დააკვირდებიან, მაგრამ ეს მაინც სტანდარტული ფრაზებია.

რაც შეეხება ჩემს პოზიციას ამ პროცესთან დაკავშირებით, მთლიანად რეჟიმი იყო კრიმინალიზებული და დანაშაულები ათეულ ათასობით ადამიანი მონაწილეობდა. ბუნებრივია, სისტემის გასამართლება სისტემის იდეოლოგიების გასამართლებას უკავშირდება და ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელია. დღევანდელი ხელისუფლება რომც გაჩერდეს და სრული ამნისტია გამოაცხადოს, საზოგადოება ამას არ მიიღებს.

სამართლიანობის აღდგენის ყინით შეპყრობილი ადამიანები იმ იმედით არიან, რომ ხელისუფლება რეჟიმს დასჯის, როგორც კი ეს იმედი გაქრება, მძიმე პროცესებს მივიღებთ.

— კორუფციულ სქემებში, რომლებიც ახალი ხელისუფლების პირობებში გაიშფორა, ძირითადად, ვანო მერაბიშვილი ფიგურირებს, როგორ გგონიათ, ბრალდებაში ეს სქემები ასახული არ უნდა ყოფილიყო?

— მაქვს ექსკლუზიური თემები ვანო მერაბიშვილზე, მაგრამ ამის ხმა მაღლა თქმა არ შემიძლია, რადგან მხოლოდ მერაბიშვილს კი არ დავაზარალებ, არამედ მეორე მხარესაც, ანუ ხარკის გადამხდელს. ხარკის გადამხდელი მოქმედი ბიზნესსტრუქტურები არიან, რომლებიც ამ ხარკს იძულებით იხდიდნენ. ფორმალური გაგებით, ისინიც დანაშაულის თანამონაწილეები არიან. ამაზე დიდი ხანია ვსაუბრობ და, ალბათ, გარკვეული ტიპის ამნისტიის მიღება მაინც დაგეგმილია, რის შემდეგაც ამ ტიპის დანაშაულზე ხმა მაღლა და საჯარო საუბარს შევძლებთ. ბიზნესის გარკვეული სექტორის წარმომადგენლებს ხარკი ერთ-ერთ სალაროში მიჰქონდათ, რომელიც, სავარაუდოდ, ვანო მერაბიშვილს უკავშირდებოდა.

— ეს სალარო ანუ სპეციალური ანგარიში შს სამინისტროში არსებობდა?

— არა, ანგარიში არ ყოფილა...

საკმაოდ ხშირად, ნაღდი ფულიც მიჰქონდათ. ისინი ყოველთვის ურად, ერთ-ერთი მოლარის საშუალებით, რომლის სახელსა და გვარს

შეგნებულად არ ვასახელებ, გარკვეულ ხარკს იხდიდნენ. დაახლოებით, რამდენიმე მილიონს თვეში, ერთი კონკრეტული ბიზნესსექტორიდან. ამაზე მეტს ვერ ვიტყვი, რადგან ჯერ ერთი, ჩემი კომპეტენცია არ არის და, რაც მთავარია, არ მინდა, ეს ადამიანები დავაზარალო. მას შემდეგ, რაც კანონს მივიღებთ, ყველაფერი გასაჯაროვდება.

— ამის გამო, მერაბიშვილს ბრალი, როგორ ფიქრობთ, კიდევ დაუმიძმდება?

— წესით, კი, რადგან ეს მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაული კი არა, კორუფციაა. წინა ხელისუფლების სისტემა მაფიის სქემაზე იყო აწყობილი, მაგრამ ეს იყო მაფია, სადაც კრიმინალი კი არ თანამშრომლობდა ხელისუფლებასთან, თვითონ ხელისუფლება იყო ორსახოვანი, რომელიც თავის თავში ატარებდა კრიმინალურ ტექნოლოგიებს. ამაცობენ, რომ „ქურდული სამყარო“ დაამარცხეს და განდევნეს, მაგრამ რეალურად, „ქურდული სამყარო“ კი არ დაამარცხეს, ქურდის ფუნქციები შეითავსეს და, ფაქტობრივად, პროკურატურის საშუალებით, ქურდული მეთოდებით იპყრობდნენ სხვადასხვა ბიზნესს.

პრინციპში, ზურაბ ადეიშვილი, ვანო მერაბიშვილი, დავით კეზერაშვილი, შარანგიები... ქურდები იყვნენ, ეს იყო კარგად სტრუქტურირებული, ვერტიკალური სისტემა, რომელსაც თავისი „ნათლიამა“ — მიხეილ სააკაშვილი ჰყავდა.

— მას შემდეგ, რაც ახალმა ხელისუფლებამ კორუფციული სქემა გაშიფრა, ყველგან ეს ვერტიკალი ფიგურირებს, თანაც სწორედ იმ ადამიანების მონაწილეობით, რომლებიც ჩამოთვალეთ. დადგება თუ არა „ნათლიამა“ სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი?

— რა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა დადგეს, სამართლიანობა ვერ აღდგება, სანამ ეს რეჟიმი არ გასამართლდება, რომლის მთავარი სიმბოლო მიხეილ სააკაშვილია! ამ პროცესს მხოლოდ დასჯის კი არა, პრევენციის ფუნქციაც აქვს, რომ თუნდაც დღევანდელმა ხელისუფლებამ აღარ გაბედოს და იგივეზე ხელი არ წაუცდეს. უნდა გვეცნოდეს, რომ კარგი ხელისუფლება არ არსებობს, ნებისმიერი ხელისუფლება გარყვნილებისკენაა მიდრეკილი და თუ ამის საშუალებას მისცემ, ადრე თუ გვიან, აუცილებლად ურჩხულის მსხვერპლი ხდება.

მეტსაც გეტყვით, 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ თანამონაწილე ვიყავი, იმ ადამიანების უმრავლესობა, რომლებიც შემდეგ ჭაობში ჩაიბირნენ, მონადინებული იყო, ნორმალური ქვეყანა აქმენებინა, მაგრამ ნელ-ნელა ურჩხული გაზარდეს, რომლის მძევლებიც გახდნენ. ამ პროცესს 2004 წელს გამოვასწარი, მაშინ „საქართველოს რკინიგზაში“ ვმუშაობდი და „შავი სადაროს“ შექმნის დავალება მივიღე, რაც გავაპროტესტე და ხელი არ მოვანერე, შემდეგ, თავდასხმაც კი მომიწყვეს.



# სოლომონ პავლიაშვილი ეროვნულ ბანკს ლარის ხელოვნურ გაუფასურებაში აღანაშაულებს



„რაჭის წყლები“ ექსპორტის დაწყებას რუსეთიდან გაგზავნის

კომპანია „რაჭის წყლები“ პირველი საქსპორტო ბაზარი რუსეთი იქნება. როგორც „რაჭის წყლების“ დირექტორის მოადგილემ, მარინა კველიშვილმა „კომერსანტს“ განუცხადა, კომპანიაში რუსეთის სანიტარული სამსახურის წარმომადგენლებს ახლო მომავალში ელოდებიან და ინსპექტირების პროცესის წარმატებით დასრულების შემდეგ, „რაჭის წყლები“ რუსეთის ბაზარზე შევა, თუმცა სად გაიყიდება და წარმოების რამდენი პროცენტი გავა უცხოურ ბაზარზე, ამ დროისთვის უცნობია. კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, კონკრეტული გადაწყვეტილებები ამ საკითხზე მიღებული არ არის.

„ახლო მომავალში, ქარხანაში რუსეთის სანიტარული სამსახურის წარმომადგენლებს ველოდებით ინსპექტირებისთვის, რუსული მხარის დაინტერესება უკვე არსებობს, თუმცა ჯერ პარტნიორებთან მოლაპარაკება არ დაგვიწყია“, — აცხადებს კველიშვილი. მისივე თქმით, კომპანია უახლოეს მომავალში, მომხმარებლისთვის ახალი პროდუქტის შეთავაზებას არ გეგმავს, მაგრამ არსებული ქარხნის გაფართოებას არ გამორიცხავს. შეგახსენებთ, რომ ამჟამად, კომპანია „რაჭის წყლები“ ბაზარზე სამი დასახელების პროდუქტითაა წარმოდგენილი, რომლებიც მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე იყიდება.

რადიო „კომერსანტი“

## ოჯახითი 4 წლის ბავშვი გარდაიცვალა

გავრცელებული ინფორმაციით, ოჯახითი 4 წლის ბავშვის გარდაცვალების მიზეზი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა გახდა. ოჯახის წევრთა თქმით, ბავშვის გამოკვებას ვერ ახერხებდნენ.

ოჯახი უკიდურეს სიღატაკში ცხოვრობს და მშობლებს ბავშვის მკურნალობის საშუალება არ ჰქონდათ. გარდაცვლილის მამა აღნიშნავს, რომ დახმარებისთვის არაერთხელ მიმართა წინა და ამჟამინდელ ხელისუფლებას, თუმცა დახმარება მხოლოდ ერთხელ, 100 ლარის ოდენობით მიიღო.

„ჯი-ეიჩ-ენი“



## მარკა ღვინო კაპიტროვიდან გათავისუფლდა

ადამიანის მკვლელობის, ფულის გამოძალვისა და ყაჩაღობის ბრალდებით გასამართლებული მარკა ღვინო თავისუფალია. ღვინოს გათავისუფლება შეკრებილობის პრინციპის გაუქმების საფუძველზე მოხდა. დუდაევს 23 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი და პატიმრობაში 9 წელი იმყოფებოდა.

დუდაევს ამნისტიის მუხლები შეეხო, რის შედეგადაც ოთხწლიანი საპატიმრო ვადა ჰქონდა დარჩენილი, თუმცა შეკრებილობის პრინციპის გაუქმებით ესეც მოეხსნა.

დუდაევი ქართველმა სამართალდამცველებმა 2004 წლის მარტში დააკავეს. 2005 წელს, სასამართლომ მას 23 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

„ჯი-ეიჩ-ენი“



„გამოვიდეს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა და განმარტოს, მაისსა და ივნისში ორჯერ, ბანკთა შორის სავალდებულო ბირჟაზე 20-20 მილიონი დოლარი რაცომ შეიძინა, როცა ამის საჭიროება არ არსებობდა!“

### ნიკა ჯანსოთელი

ეროვნული ბანკი მორიგ სკანდალში ეხვევა. ყოველ შემთხვევაში, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, ეკონომიკის ექსპერტი სოლომონ პავლიაშვილი გიორგი ქადაგიძის უწყებას ლარის ხელოვნურ დასუსტებაში აღანაშაულებს. საერთოდ, პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ქადაგიძე საზოგადოების ყურადღების ცენტრში რამდენჯერმე მოექცა — პრემიერთან შეხვედრის შემდეგ, კულუარებში ითქვა, ქადაგიძემ ივანიშვილის ნაციონალურ ინფორმაციები მიანოდაო. ძნელი სათქმელია, მართლა ასე იყო თუ არა, მაგრამ ივანიშვილ-ქადაგიძის შეხვედრა ხეივანად დამთავრებულიც არ იყო, სააკაშვილმა რომ განაცხადა, მთელ ქართულ ბანკებს რუსები ყიდულობენო. მოგვიანებით, ამ განცხადების გამო, პრეზიდენტმა ბოდიში მოიხადა. საქმეში ჩახედულთ კი ითქვას, მიზამ ამ განცხადებით ქადაგიძე შური იძიაო. ისე, როგორც ამბობენ, „შურისძიება“ უფრო რთულ ფორმებშიც გადაზრდილა და სააკაშვილს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, თურმე მსუბუქადაც გაუღახავს... მოკლედ, კულუარები იქით იყოს, ფაქტი კი ისაა, რომ ბოლო დღეებში ლარის კურსი რამდენიმე ნიშნულით დაეცა.

— ეროვნული ბანკი, რბილად რომ ვთქვათ, არასწორად იქცევა — ლარს ხელოვნურად ასუსტებს, რაც საზოგადოებაში გარკვეულ ინფლაციურ პანიკას აჩენს. 3 ივნისისთვის ლარის კურსი 1,63 იყო, 6 ივნისიდან კი, კერძო ბანკებში 1,67 გახდა, ანუ ორ დღეში ლარის კურსი 3-4 პუნქტით დაეცა. ერთი შეხედვით, ეს 3-4 პუნქტი საგანგაშო არაა, მაგრამ საგანგაშო იმპულსია, მით უმეტეს, რომ ლარი, წესით, უნდა მყარდებოდეს — საქართველოში ქართველი ემიგრანტების მიერ გადმორიცხული თანხების შემოსვლა, გასულ წლებთან შედარებით, ათი პროცენტითაა მომატებული ანუ საქართველოს უცხოეთში მცხოვრები მოქალაქეების მიერ დოლარის გადმორიცხვა გაზრდილია. დოლარის შემოდინება, როგორც წესი, ლარის გამყარებას იწვევს. ამ პირობებში, ეროვნული ბანკი ბანკთა შორის სავალდებულო ბირჟაზე, ე.წ. ბლუნბერგის წესით, 3 და 31 მაისს 20-20 მილიონ დოლარს ყიდულობს. ეროვნულმა ბანკმა უნდა ახსნას, ამდენი რაოდენობის დოლარი რაში დასჭირდა. აღსანიშნავია, რომ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ანუ არჩევნების შემდეგ, ეროვნულ ბანკს ასეთი დიდი ინტერვენცია არ განუხორციელებია — ბრუნვიდან დიდი ოდენობით დოლარი არ ამოუღია. ვიმეორებ: ლარის 2-3 პუნქტით გაუფასურება საგანგაშო არაა, მაგრამ თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, დეველვაციის ნიშნებიც გამოიკვეთება.

დღეს მენარმეობა და იმპორტი მეტ-ნაკლებად შესუსტებულია, მშენებლობები გაჩერებულია და, შესაბამისად, ბაზარზე დოლარი გროვდება, ამ დროს კი ეროვნული ბანკი დოლარს ბრუნვიდან იღებს.

- ანუ ეროვნული ბანკი საბოტაჟს აწყობს?
- ამის ხელაღებით თქმა არ შეიძლება, მაგრამ ფაქტია: ეროვნული ბანკი საზოგადოებაში გარკვეულ პანიკას თესავს.
- ბატონო სოლომონ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეროვნული ბანკი, გარკვეულწილად, წინა ხელისუფლების მითითებებს ასრულებს?

— ეროვნული ბანკი დამოუკიდებელი, ქვეყნის ფულად საკრედიტო პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოა, რომელიც ანგარიშვალდებული პარლამენტთანაა. მართალია, ფულადსაკრედიტო პოლიტიკას არეგულირებს, მაგრამ თუკი დოლარისა და ლარის კურსთან დაკავშირებით განსაკუთრებული რყევები არ არსებობს, ეროვნული ბანკი ამ პოლიტიკაში უხეშად არ უნდა ჩაერიოს და ყველაფერს საბაზრო ეკონომიკის პრინციპები დაარეგულირებს.

არ გამოვირიცხავ, რომ ყველაფერი ორხელისუფლებიანობის შედეგია, მაგრამ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობამ განმარტება აუცილებლად უნდა გააკეთოს, მით უმეტეს, რომ ლარის კურსის დაცემას, შესაძლოა, იმპორტული საქონლის გაძვირება მოჰყვეს.

- შესაძლოა, საკვები პროდუქტიც გაძვირდეს?
- დიახ... ეროვნულმა ბანკმა შეიძლება, თავი იმით იმართლოს, ექსპორტს ვასტიმულირებო, მაგრამ უნდა განმარტოს, ექსპორტის სტიმულირებაში რას გულისხმობს.

- ლარის გაუფასურება ხელისუფლებას დაარტყამს?
- ხელისუფლებას კი არა, პირველ რიგში, საზოგადოებას დაარტყამს... შეიძლება, მომავალში ინვესტიციების შემოდინებას არ ელოდებიან და ამიტომ, მცოცავ დეველვაციას აკეთებენ, მაგრამ ესეც ძალიან ცუდია... საერთოდ, ინვესტიციების გაჩერება დროებითი მოვლენაა — რაკი ხელისუფლება შეიცვალა, ინვესტორები მოლოდინის რეჟიმში არიან, რა ნაბიჯებს გადადგამს მთავრობა, ამიტომ საქართველოს ხელისუფლებამ მხოლოდ რუსეთის კი არა, აღმოსავლეთ ევროპის, ჩინეთისა თუ ისრაელის ბაზარზეც უნდა იმუშაოს. ასარჩევად საქმე არ გვაქვს და მთავრობამ ყველას უნდა დაანახოს, რომ საქართველოში ვითარება შეიცვალა და საკუთრების დაცულობის კუთხით, უფრო მეტი გარანტია არსებობს. სხვათა შორის, ნაციონალურ მმართველობის დროს, მსოფლიოში, საკუთრების დაცვის ინდექსით, 131-ე ადგილზე ვიყავით.

ინვესტირებისთვის თითოეული მინისტრი გარკვეული გარანტია უნდა იყოს, თორემ სხვანაირად ინვესტიციები არ განხორციელდება. საერთოდ, საქართველო ინფლაციური ქვეყანაა და ლარის კურსის თუნდაც 2-3 პუნქტით დაცემა საგანგაშო ამიტომაცაა. ეროვნულ ბანკს ინფლაციის რეგულირება შეუძლია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მუდმივად ამით იყოს დაკავებული. სჯობს, ეროვნული ბანკი მაკრო-ეკონომიკის ლოგიკას დამოწილოს, მაგრამ ის, რასაც ეროვნული ბანკი დღეს აკეთებს, გარკვეულწილად, ლარის დეველვაციას პროვოცირებს.

- ლარის გაუფასურების ასეთი ნიშნები ბოლოს როდის იყო?

— 2010 წელს, როცა ეროვნულმა ბანკმა დიდი რაოდენობით მცირევადანი კრედიტები გასცა და ე.წ. შავი პარასკევი ორჯერ განმეორდა. მოკლედ, ლარის კურსით თამაში არ შეიძლება!

- შექმნილ მდგომარეობაში ხელისუფლების ეკონომიკურმა გუნდმა რა უნდა გააკეთოს?

— ეროვნულ ბანკს განმარტება უნდა მოსთხოვოს, თუ რატომ შეიძინა მაისში, ორჯერ, 20-20 მილიონი დოლარი, თუმცა ეს ქმედება მთავრობას რატომაც შეუმჩნეველი დარჩა.

- თუკი ეროვნული ბანკის მხრიდან ლარის ხელოვნურად გაუფასურება გაგრძელდა, ბატონო სოლომონ, უმრავლესობამ გიორგი ქადაგიძის იმპიჩმენტი ხომ არ უნდა დაიწყოს?

— ამაზე მუშაობა შეიძლება... სხვათა შორის, ამ ინფლაციური ნიშნების ფონზე, გამორიცხული არაა, ფასების აწევა მხოლოდ იმპორტულ კი არა, ადგილობრივ პროდუქციაზეც დაიწყოს. ასეთ დროს აზრს შიდაინვესტიციებიც კარგავს...





„ასკანელი ძმების“ ისტორიაში, 2013 წლის 8 ივნისი კიდევ ერთ წარმატებულ დღედ ჩაენერება — 15-წლიანი გამოცდილების მქონე, ელიტური ალკოჰოლის მწარმოებელმა კომპანიამ პრესტიჟული ჯილდო „ხარისხის ნიშანი“ მიიღო. ცერემონიას, რომელიც კაფე-რესტორან „ფოლკ გარდენის“ ტერასაზე, ღია ცისქვეშ, ფოლკლორის ჰანგების თანხლებით გაიმართა, სხვადასხვა კომპანიების, ტუროპერატორების წარმომადგენლები, პოლიტიკოსები და ხელოვანებიც ესწრებოდნენ. ვიდრე „ასკანელი ძმების“ დამფუძნებელს, ჯიმშერ ჩხაიძე-ასკანელს სცენაზე ჯილდოს გადასაცემად მიიწვევდნენ, ღონისძიების წამყვანმა სტუმრებს შეახსენა, რომ „ასკანელი ძმები“ დღეს ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა ქართული ელიტური ალკოჰოლის მწარმოებელ კომპანიებს შორის. ის აწარმოებს 8 სახეობის კონიაკს, 21 დასახელების ღვინოს და 4 დასახელების ჭაჭას. „ასკანელი ძმების“ მიერ წარმოებული სასმელი გადის ექსპორტზე აშშ-ში, უკრაინაში, ჩინეთში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ლიტვაში, ლატვიაში, პოლონეთში, ჩეხეთში, ყაზახეთში, ფინეთში, აზერბაიჯანსა და ბელორუსში.

ჯიმშერ ჩხაიძე ასკანელს სერტიფიკატი „ხარისხის ნიშნის“ პრეზიდენტმა გრიგოლ კუნჭულიამ გადასცა და ისიც აგვიხსნა, რომ კომპანიამ „ხარისხის ნიშნის“ მისაღებად ერთთვიანი კომპლექსური, მასშტაბური შემოწმება, მკაცრი კონტროლი გაიარა და ყველა პარამეტრით უმაღლესი შეფასება მიიღო. შედეგად — კომპანია „ასკანელი ძმები“ 3 წლის ვადით ხდება ხარისხის ნიშნის მფლობელი. სავალდებულო კონტროლს კი ყველა მომდევნო წელს გაივლის.

**ბრიტოლ კუნჭულია:** „ხარისხის ნიშნის“ სერტიფიკატი პროდუქციის მაღალი ხარისხის დამადასტურებელი მოწმობაა. კომპეტენტურმა სპეციალისტებმა შეისწავლეს და შეაფასეს ხარისხის მენეჯმენტი, ჩაატარეს დოკუმენტების ანალიზი, შეამოწმეს ტექნოლოგიები და ტექნიკური მდგომარეობა, წარმოების პირობები, კვალიფიკაცია, ხარისხის მართვის სისტემა, ობიექტების მდგომარეობა, წარმოების პირობები, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და მოხარული ვარ, რომ შეგვიძლია, ასეთ ღირსეულ და წარმატებულ კომპანიას გადავცეთ ეს საპატიო სერტიფიკატი“.

„ასკანელი ძმების“ დამფუძნებელმა **ჯიმშერ ჩხაიძე-ასკანელმა** კი აღნიშნა, რომ მათი კომპანია ხარისხზე ორიენტირებულია და ამ ტრადიციას, მომავალშიც არ უღალატებენ: „ის ფაქტორი, რომ „ასკანელი ძმების“ პროდუქცია ჩვენი გვარის სახელს ატარებს, ძალიან დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს, ამიტომ ჩვენი მთავარი ამოცანა ყოველთვის იყო და იქნება მაღალი ხარისხის შენარჩუნება. ჩვენი პროდუქცია შეფასებულია, როგორც საუკეთესო. მიღებული გვაქვს 100-ზე მეტი ჯილდო სხვადასხვა გამოფენასა და დეგუსტაციაზე. აღიარება და ვიმსახურეთ საქართველოს ფარგლებს გარეთ, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებში, მაგრამ ათმაგად გვიხარია, რომ საქართველოშიც მივიღეთ ასეთი მაღალი შეფასება. პირობას ვდებთ, „ხარისხის ნიშნის“ შენარჩუნებაზე ყოველთვის

# „ასკანელი ძმები“ „ხარისხის ნიშნის“ მფლობელი გახდა!



## კომპანიამ ერთთვიანი მკაცრი კონტროლი წარმატებით გაიარა და საპატიო სერტიფიკატს დაიმსახურა

ვიზრუნებთ, მითუფრო, რომ გვაქვს გრანდიოზული გეგმები, ვაპირებთ ახალი საწარმოო ხაზის მშენებლობას, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას... ეს პროცესი ჩვენი უცხოელი კონსულტანტების რეკომენდაციებით წარიმართება“.

ჯიმშერ ჩხაიძე-ასკანელმა ისიც გაგვიზიხილა, რომ ამ დღეებში „ასკანელი ძმების“ პროდუქციამ უკრაინაში ოქროს 4 მედალი მიიღო და ამასთან დაკავშირებით, საქართველოს უკრაინული პარტნიორი, უმსხვილესი სადისტრიბუციო ქსელის მენეჯმენტი და ოცკაცია დელეგაცია სტუმრობს.

8 ივნისს, „ასკანელი ძმების“ გარდა, „ხარისხის ნიშანი“ გა-

დაეცა კიდევ 5 ქართულ კომპანიას: „საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს“, „უშიშროებისა და საკუთრების დაცვის სამსახურ თორს“, „საწარმო „ჯორჯიან ბეიქერს“, „კაფე-რესტორან „ფოლკ გარდენს“ და ტურისტულ კომპანიას GTM (Georgian Tourism Marketing).

საქართველოში, სამომხმარებლო ბაზარზე, „ხარისხის ნიშანი“ 130 კომპანიას აქვს მინიჭებული. თუმცა, ამ ეტაპზე, მათგან მხოლოდ 70 ინარჩუნებს „ხარისხის ნიშნით“ საკუთარი პროდუქციისა და მომსახურების მარკირების უფლებას.

*ნინო ლურსმანაშვილი*

### პერსონალი

#### შსს-მ ყაჩაღობის ფაქტზე სამი პირი დააკავა

შსს-მ ყაჩაღობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა — შსს-ს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და სამტრედიის რაიონული სამმართველოს პოლიციის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, 3 პირი დააკავეს. კერძოდ, დაკავებულია წარსულში ყაჩაღობისთვის ნასამართლევი, 1991 წელს დაბადებული, მიხეილ კ., ძარცვისთვის ნასამართლევი, 1990 წელს დაბადებული გიორგი კ. და წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი, 1962 წელს დაბადებული ანზორ ნ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები მიმდინარე წლის 7 ივნისს, სამტრედიის რაიონის სოფელ ღვანისში, ნიღბებითა და ცეცხლსასროლი იარაღით, ყაჩაღურად თავს დაესხნენ რევაზ მ-ს ოჯახს, საიდანაც სხვადასხვა ნივთი წაიღეს. სამართალდამცველებმა დანაშაული ცხელ კვალზე, მომხდარიდან რამდენიმე საათში გახსნეს. დაკავებულების ჩხრეკის შედეგად, ორი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და გატაცებული ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიება ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (სსკ 179-ე მუხლის მე-2 და 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით).

„ინტერპრესნიუსი“

#### იუსტიციის უმაღლესი სკოლის თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი გახდა



მამუკა ახვლედიანი მოსამართლეთა მე-10 კონფერენციამ 197 ხმით აირჩია. იუსტიციის უმაღლესი სკოლის თავმჯდომარის არჩევნების დროს დარბაზში 222 მოსამართლე იმყოფებოდა.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თანამდებობაზე მამუკა ახვლედიანს კონკურენტი არ ჰყავდა. მოსამართლეებმა ერთ-ერთ კანდიდატად თემურ თოდრია დაასახელეს, თუმცა თავად თოდრიამ კანდიდატურა მოხსნა.

ამასთან, ხმის დამთვლელ კომისიას 4 წევრი დაემატა და ამჟამად იგი 7 წევრისგან შედგება. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარედ — ინგა კვაჭანტირაძე, სხდომის მდივნად კი შორენა ყაველაშვილი იქნა არჩეული.

შეგახსენებთ, რომ მამუკა ახვლედიანმა იუსტიციის უმაღლესი სკოლის თავმჯდომარის თანამდებობაზე დავით სააკაშვილი შეცვალა.

„პირველი“

#### თბილისს რუს სომელითა ჯგუფი სტუმრობს



ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-6 საერთაშორისო გამოფენაზე დასწრების მიზნით, თბილისს რუს სომელითა და ღვინის თემაზე მომუშავე ჟურნალისტთა წარმომადგენლობითი ჯგუფი სტუმრობს. როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, რუსი სომელიეებისა და ჟურნალისტების მიზანია, ადგილზე გაეცნონ და დააგემოვნონ ქართული ბოთლისა და ქვევრის ღვინის სხვადასხვა სახეობები, რათა ამომწურავი ინფორმაცია მიიღონ რუსეთში ამ მიმართულებით დაინტერესებულ საზოგადოებას.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან დავითაშვილი და საქართველოს სომელითა ასოციაციის პრეზიდენტი შალვა ხეცურიანი მედიის წარმომადგენლებს შეხვდნენ. ლევან დავითაშვილის განცხადებით, კარგია, რომ რუსი სტუმრების ვიზიტი თბილისში საერთაშორისო გამოფენას დაემთხვა.

„ეს მათ საშუალებას მისცემს, კიდევ ერთხელ დააგემოვნონ ტრადიციული და ახალი სხვადასხვა სახეობის ქართული ღვინო. ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ქართული პროდუქცია რუსულ ბაზარზე უახლოეს დღეებში გამოჩნდება“, — განაცხადა დავითაშვილმა.

შალვა ხეცურიანის თქმით კი, შვიდწლიანი პაუზის შემდეგ რუსი ღვინის სპეციალისტების ვიზიტი საქართველოში საფუძველი გახდება მომავალი ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების და ეს ხელს შეუწყობს ქართული ღვინის ღირსეულ დაბრუნებას რუსულ ბაზარზე. შეხვედრაზე რუსეთის სომელითა ასოციაციის პრეზიდენტმა, ალექსი სიდოროვმა ქართული ღვინის მაღალ ხარისხზე ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ ქართული ღვინოს რუსულ ბაზარზე დაბრუნება არ გაუჭირდება, რადგან მოლოდინი და მოთხოვნა დიდია.

„მაღალი ხარისხიდან გამომდინარე კი, ის ადვილად დაიმკვიდრებს ადგილს ევროპული ღვინოების გვერდით“, — განაცხადა სიდოროვმა.

რუსეთის სომელითა და ექსპერტთა კავშირის პრეზიდენტმა, არტურ სარქისიანმა კი აღნიშნა, რომ გულშემოტიკივრობს საქართველოს და მიესალმება ქართული ღვინის დაბრუნებას რუსულ ბაზარზე.

რუსი სომელიეები და ჟურნალისტები გამოფენის ფარგლებში მიმდინარე ქვევრის ღვინის მე-2 საერთაშორისო სიმპოზიუმსაც დაესწრნენ.

ამასთან, სტუმრებისთვის გაიმართება ღვინის ტურები კახეთის რეგიონში. მათ საშუალება ექნებათ, ადგილზე დაათვალიერონ ღვინის საწარმოები და მარნები, მოინახულონ კულტურული ძეგლები. ისინი გაეცნობიან ქართული ღვინის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, ასევე, ქართული ყველის დამზადების ტრადიციულ მეთოდებს.

გამოფენა ღვინის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს სომელითა ასოციაციის ორგანიზებით იმართება.

„ინტერპრესნიუსი“

# „საბას“ დაზარალებული მოვაჭრეები მთავრობას სარეზერვო ფონდიდან დახმარებას სთხოვენ



Mzia Saganelidze (RFE/RL)

## „ივანიშვიდი ქვეყანაში, რეაღრად, პირველი პირია და მისი სიწყვა ბევრისთვის კანონი უნდა იყოს!“

**მერაბ ბერიძე**  
599-45-50-26

სავაჭრო სახლი „საბას“ ხანძრის შედეგად დაზარალებულმა თანამშრომლებმა სოლოლაკის ხეივანში, პრემიერის საცხოვრებელი სახლის წინ, აქცია გამართეს. ისინი საბანკო სესხების დროებით გაყინვასა და მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ფინანსურ დახმარებას მოითხოვენ. „ვერსია“ აქციის ერთ-ერთ მონაწილეს, ქატიკან ბახტაძეს ესაუბრა.

— „საბაში“ ხანძარი ჩვენი მიზეზით არ გაჩენილა, მაგრამ ჩვენი მძიმე მდგომარეობა არავის აინტერესებს. ბანკებთან პრობლემები გვაქვს — პროცენტს ითხოვენ. ხომ არსებობს მთავრობის სარეზერვო ფონდი, საიდანაც საგანგებო სიტუაციების დროს დახმარების განევა ხდება? ეს მთავრობა იმიტომ ავირჩიეთ და სათავეში მოვიყვანეთ, რომ ასეთ დროს დაგვეხმარებოდა, მაგრამ ოცნებები არ სრულდება — რამდენი წერილი დავწერეთ და ვის აღარ ვთხოვეთ დახმარება, მაგრამ ყველასგან სრული იგნორირება მივიღეთ. ივანიშვილი ქვეყანაში, რეალურად, პირველი პირია და მისი სიტყვა ბევრისთვის კანონი უნდა იყოს, ჩვენ ასე ვფიქრობთ, ამიტომ უკიდურეს ზომას მივმართეთ — მის რეზიდენციასთან მივედით და ჩვენი ტყვიანი გამოვხატეთ. ბანკების სესხები დროებით უნდა გაიყინოს, რადგან ჩვენი ბიზნესი დაინვა და დაიფერფლა. ამასთან, სესხის გადავადება გონივრულ ვადამდე უნდა მოხდეს. მთავრობას ამაზე შუამდგომლობის განევა ნამდვილად შეუძლია. ხელისუფლება დაინტერესებული უნდა იყოს, ამდენ დაზარალებულ მენარმეს ეშველოს, ისევე ფეხზე დადგეს და ბიუჯეტშიც თანხა შეიტანოს.

პატარა წარმოება გვექონდა — გამყიდველები, ხელსონები... ასეთი სულ 125 შპს იყო, რაც ჩვენისთანა ქვეყნისთვის, მგონი, ცოტა არაა. ჩემზე უარეს მდგომარეობაში უფრო მსხვილი შპს-ები არიან. თუ სასამართლოს გზაზე დავდექით, ვიცით, იმდენხანს გაგრძელდება, რომ განაჩენს ცოცხლები ვეღარ მოვესწრებით. ერთი დაზარალებული უკვე ინფარქტით გარდაიცვალა, მეორე აპარატზეა შეერთებული... კობა დავითაშვილსაც შევხვდით და შუამდგომლობა ვთხოვეთ. ყველგან გვეუბნებიან, რომ სამართლიანი, საფუძვლიანი მოთხოვნა გვაქვს და კანონის შესაბამისად ვიქცევით, მაგრამ უბედურება ისაა, რომ კონკრეტულს არაფერს გვთავაზობენ.

— პრემიერის რეზიდენციასთან გამართულ აქციას გამოსმაურება მოჰყვა?

— განცხადება დაგვანერინეს, გვითხრეს, რომ დაცვის უფროსი ჩაიბარებდა და პრემიერს გადასცემდა, მაგრამ პრემიერი ნაიკითხავს თუ არა, პასუხი ვერ გავცევს. იმედი გვექონდა, ვინმე მრჩეველი მაინც შეგვხვდებოდა — რამდენიმე დღეა, გია ხუბაშვილს ვეძებთ, მაგრამ ვერ მივაკვლიეთ. ამ მთავრობის ვერაფერი გავიგეთ — ვერავის ვპოულობთ, რომ ჩვენი სატიკვარი გადავცეთ.

კობა დავითაშვილს ხალხის პარტიის ოფისში შევხვდი, ჩუბინაშვილის ქუჩაზე. განცხადება დაუწერე და მდგომარეობა აუფხსენი, დავითაშვილმა ფინანსთა მინისტრთან შუამდგომლობის წერილი „გაგვიკეთა“. წავიღე სამინისტროში და ჩავაბარე, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. წერილი პარლამენტის თავმჯდომარესაც გავუგზავნეთ, რომლისგანაც ასეთი პასუხი

მივიღეთ, პარლამენტს არ აქვს ფონდი, თანხები გამოყოს და დაგეხმაროთ, მაგრამ იმის გარკვევაში დაგეხმარებით, ხანძარი რატომ გაჩნდაო.

- გამოძიება რა ეტაპზეა?
- არ ვიცით, როდის დასრულდება, მხოლოდ ამას გვეუბნებიან. მერე, ამ საქმეს, ალბათ, თაროზე შემოდებენ.
- თქვენი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობას რა მოჰყვება?

— ამდენ შპს-ს ბანკი ბინებს, ქონებას გაუყიდის, წაართმევს და გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენებს. ყველა ქუჩაში აღმოჩნდება, გამწარებული ადამიანი კი, ყველაფერზე, მათ შორის, მკვლელობაზეც მიდის. ჩვენ უდანაშაულოები ვართ — ხანძარი ჩვენი მიზეზით არ გაჩენილა. სახელმწიფო კი სრულ იგნორირებს გვიკეთებს, თითქოს არ ვარსებობთ. არჩვენებამდე ხალხს მშვენივრად ხვდებოდნენ და ავითაცია-პროპაგანდას ეწოდნენ. დღეს კი ჩვენთან შეხვედრასა და საუბარს გაუბრძანა. ეს კარგს არაფერს მოიტანს.

— ხანძართან დაკავშირებით, მოვაჭრეების ვერსია როგორია?

— ერთი ვიცი, რომ დაცვა უმალლეს დონეზე მუშაობდა. შვიდ საათზე ტერიტორია იკეტებოდა... ასე რომ, დაცვის უყურადღებობას გამოვრიცხავ. ისევე დაუდევრობამდე და შემთხვევითობამდე მივდივართ.

## 2014 წელს ნატო-ს სამიტი თურქეთში, პოლონეთში ან ნორვეგიაში გაიმართება

„პირველის“ ინფორმაციით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამიტის ჩატარების ადგილად აღნიშნულ სამ ქვეყანას განიხილავს. აღსანიშნავია, რომ სამიტის ჩატარებასთან დაკავშირებით, ყველა სახელმწიფოს თავისი პოზიცია აქვს, თუმცა ვინაიდან 2004 წელს სამიტი თურქეთში ჩატარდა და სწორედ ამ სამიტზე ნატო-ს გაფართოება მოხდა, ოფიციალური ანკარა სამიტის 10 წლისთავთან დაკავშირებით, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს თურქეთში ინვესს.



ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა 2012 წელს ჩიკაგოს სამიტზე განაცხადა, რომ „ჩიკაგოს სამიტი ბოლო უნდა იყოს, რომელზეც ნატო-ს გაფართოება არ მოხდება“.

„პირველი“



## მიხეილ სააკაშვილი თურქეთში განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, „მთელი რეგიონის ინტერესია, თურქეთის განვითარება სწრაფად და განუხრელად გაგრძელდეს“.

„მინდა, გამოვეხმაურო თურქეთში განვითარებულ მოვლენებს და ბოლო დროს შექმნილი დაძაბულობის გამო, ჩემი ღრმა მწუხარება გამოთქვა. ახლა, როდესაც პრემიერ-მინისტრ ერდოღანის ბრწყინვალე ხელმძღვანელობით, თურქეთი სწრაფი და განუხრელი განვითარების გზას ადგას, საზოგადოების გაყოფა და პოლარიზება ქვეყნის ინტერესებში ყველაზე ნაკლებად შედის. თურქეთი არა მარტო დემოკრატიისა და განვითარების მოდელი, არამედ სტაბილურობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტიცაა რეგიონში და სწორედ მთელი რეგიონის ინტერესია, თურქეთის განვითარება სწრაფად და განუხრელად გაგრძელდეს. დღეს მთელი რეგიონის იმედი თურქეთისკენა მიმართულია. ჩვენს რთულ და დაძაბულობით აღსავსე დროში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ რეგიონს ჰყავდეს ძლიერი ლიდერი, რომელიც იქნება უკეთესი მომავლისა და იმედის სიმბოლო არა მარტო საკუთარი ქვეყნისთვის, არამედ — მთელი რეგიონისთვის. უპირველესად, პრემიერ-მინისტრ ერდოღანის დამსახურებაა, საქართველო-თურქეთის ურთიერთობა ძალიან დინამიკურად რომ ვითარდებოდა. ჩემი ღრმა რწმენით, პრემიერ-მინისტრი ერდოღანი ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ლიდერია თანამედროვე მსოფლიოში და ღრმად მწამს, რომ თურქეთის საზოგადოება გამონახავს კომპრომისის აუცილებელ რესურსებს, სამოქალაქო თანხმობა კვლავ დაისადგურებს და თურქეთი დიდხანს იქნება ის სახელმწიფო, რომელიც როგორც მეზობლებს, ისე მთელ მსოფლიოს მომავლის რწმენას ჩაუნერგავს“.

„პირველი“

## პარსიანიუსი

## ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ავღანეთში მოხდარი ტრაგედია სრულიად საქართველოს ტრაგედიაა

„ღრმა მწუხარება მინდა გამოვხატო გარდაცვლილთა ოჯახის წევრების მიმართ. ეს არის თითოეული ჩვენგანისა და სრულიად საქართველოს ტრაგედია. მთელ ქვეყანას ვუსამძიმრებ ამ დღეს“, — განაცხადა შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, ავღანეთში გარდაცვლილი ქართველი ჯარისკაცების ჩამოსვენების ცერემონიაზე.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, ჯარისკაცების ჩამოსვენების ცერემონიაზე, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე, სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიიაშვილი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი გია ბარამიძე, აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდიც იმყოფებოდნენ.

„პირველი“



სამთაწარმოელი გაყიდვითი მიწების დაბრუნებას ითხოვან

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწარმოს მოსახლეობა გაყიდვითი მიწების დაბრუნებას ითხოვს. ამ მოთხოვნით, ადგილობრივმა საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეების თქმით, სოფელ სამთაწარმოში 180 ჰა მიწის ფართობი 49-წლიანი იჯარით ჰქონდათ აღებული, თუმცა, წინა ხელისუფლების დროს, 2011 წლის დეკემბერში, აუქციონის წესით, კომპანია „ოლიგ გრინმა“ შეიძენა და ზეთისხილის პლანტაცია გააშენა.

მოსახლეობა დახმარებას ცენტრალურ ხელისუფლებას სთხოვს. კერძო კომპანიას კი ტერიტორიის დასატოვებლად სამი დღის ვადას აძლევს, წინააღმდეგ შემთხვევაში სამთაწარმოელები ზეთისხილის პლანტაციის აჩეხვით იმუქრებიან.

მოსახლეობა ზეთისხილის პლანტაციასთან მივიდა და იქ შესულ ტექნიკას მუშაობის საშუალება არ მისცა.

„ინტერპრესნიუსი“



„გაუგებარია, პროკურატურამ რატომ დართო ნება გელა ხვედელიძეს, ქვეყანა დროებით დაეტოვებინა“

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადებით, „გაუგებარია, პროკურატურამ რატომ დართო ნება შს მინისტრის ყოფილ პირველ მოადგილეს, გელა ხვედელიძეს ქვეყანა დროებით დაეტოვებინა“.

ბრალდებულის მიერ საქართველოს დატოვებასთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაცია განცხადებას ავრცელებს.

„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, გირაო წარმოადგენს აღმკვეთი ღონისძიების სახეს, რომელიც გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა ან უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. როგორც წესი, იმ პირებს, რომელთაც გირაო შეეფარდა, ასევე უზღუდვით ქვეყნის ტერიტორიის დატოვება ვერ ჩაითვლება გირაოს პირობების დარღვევად, თუ არსებობდა კომპეტენტური ორგანოების ნებართვა, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩნდება გარკვეული ეჭვები. პროკურატურის წარმომადგენლებმა გელა ხვედელიძის წინააღმდეგ აღმკვეთი ღონისძიების გამოყენება მოითხოვეს. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ დასაბუთებული ვარაუდი არსებობდა, რომ ბრალდებული მიიმალებოდა ან სასამართლოში არ გამოცხადდებოდა, საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას გაანადგურებდა ან ახალ დანაშაულს ჩაიდენდა. გაუგებარია, რატომ დართო ნება პროკურატურამ გელა ხვედელიძეს დროებით დაეტოვებინა ქვეყანა მაშინ, როდესაც თავად მოითხოვა აღმკვეთი ღონისძიების გამოყენება. ამგვარი შემთხვევები სხვა მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეებში არასოდეს დაფიქსირებულა. მოუწოდებთ ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს, საკუთარ საქმიანობაში თანმიმდევრულად იყვნენ; ნუ მიიღებენ იმგვარ გადაწყვეტილებებს, რომლებიც წარმოქმნის საფუძვლიან ეჭვებს იმის შესახებ, რომ ადგილი აქვს ზოგიერთი ბრალდებული პირისთვის კანონის შერჩევით გამოყენებას“, — ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა დაადასტურა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილე, ბრალდებული გელა ხვედელიძე საზღვარგარეთ იმყოფებოდა, თუმცა ახლა იგი უკვე საქართველოშია.

15 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ გელა ხვედელიძეს აღმკვეთის ღონისძიების სახით, 5 000 ლარის ოდენობით გირაო შეუფარდა. მას ბრალად სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფა ედება.

„პირველი“

ნავისის, შინდისის, კოჯრისა და ტაბახმელას მოსახლეობა სააკაშვილსა და უზულაძეს მიწების უკანონო გაყიდვასა და ტყეების ბაჩხაშვი ალანაშაულებს



მირაბ ბერიძე 599-45-50-26

ნავისელები რამდენიმე ათეული ჰექტარი მიწის გაყიდვას, ტყის მასივის გაჩეხვას აპროტესტებენ და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მედ ჯგუფი საქართველოსა“ და თბილისის მერიის წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას მოითხოვენ.

როგორც ადგილობრივი მცხოვრები ალექსი ქოროლიძე აცხადებს, ნავისის ტყის ადგილას „მედ ჯგუფი საქართველო“ ბიზნესპროექტს ახორციელებს და ეს ტერიტორია მერიისგან საბაზრო ღირებულებაზე გაცილებით ნაკლებად — კვადრატული მეტრი 5 ლარად იყიდა:

„ამ პროექტით მერიის დაინტერესება აშკარად იკვეთება და ამაზე უტყუარი ინფორმაციაც გვაქვს. სხვა თუ არაფერი, ტყესთან არსებული მიწის ნაკვეთები კერძო მესაკუთრეებს იძულებით ნაართვეს და „მედ ჯგუფი საქართველოს“ მერიამ პირდაპირი წესით, აუქციონის გარეშე მიიყიდა. მოვიხსოვოთ, გამოძიება ჩატარდეს და, ასევე, ტყის გაჩეხვა შეჩერდეს, რადგან ეს ტყე ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ნავისის, ასევე მთელი თბილისისთვის“.

ქოროლიძის თქმითვე, პროკურატურაში რამდენიმე განცხადება უკვე შეტანილია. ნავისის მცხოვრებლები დედაქალაქის მერიასთან საპროტესტო აქციის გამართვასაც გეგმავენ. დაზარალებულთა ადვოკატი ირაპალი ბაბრიძე კი აცხადებს, რომ ქალაქ თბილისის მერიამ უკანონოდ გაასხვისა ნავისის ტყე და შპს „მედ ჯგუფი საქართველოს“ გადასცა. ადვოკატის ინფორმაციით, აღნიშნული კომპანიის ხელმძღვანელი პეტერბურგში მოღვაწე ქართველი ექიმი თამაზ მჭედელიძეა:

„ნავისის ტყის უკანონოდ გასხვისება რამდენიმე წლის წინ დაიწყო და ამის უკან თბილისის მერი, საქართველოს პრეზიდენტი და, ასევე, ყოფილი მთავრობის წევრი ალექსანდრე ხეთაგური დგანან. ხეთაგური „მედ ჯგუფი საქართველოს“ დირექტორის, მირიან ამირანაშვილის ახლო მეგობარია... ნავისის ტყე გასხვისდა როგორც სასოფლო-სამეურნეო დაინტერესების და არა — როგორც ტყე, ასევე, უკანონოდ, იძულებით დადებული გარიგებებით ჩამოერთვათ ნავისის მაცხოვრებლებს მიწის ის ნაკვეთები რომლებიც „მედ ჯგუფი საქართველოს“ ინტერესებში აღმოჩნდა“.

ირაკლი გაბრიჭიძის განცხადებით, აღნიშნულ საკითხს საქართველოს მთავარი პროკურატურა უკვე სწავლობს. რამდენიმე დღის წინ კი, პარლამენტის წევრებსაც ეცნობათ, რათა საკითხი შესაბამისმა საპარლამენტო კომიტეტამაც განიხილოს.

აღსანიშნავია, რომ ნავისის, შინდისის, კოჯრისა და ტაბახმელას მოსახლეობამ ამ პრობლემაზე პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილს, თბილისის მერ გიგი უგულავას, გარემოს დაცვის მინისტრ ხათუნა გოგალაძესა და პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილს წერილიც გაუგზავნეს, რომელშიც ნათქვამია:

„საუუუნეზე მეტია, ქართველი ხალხი თბილისის გარშემო გაჩეხილი ტყეების აღდგენა-გაშენებაზე ზრუნავს. შედეგად,

ჩვენს თაობას მემკვიდრეობად განსაკუთრებული ეკოლოგიური ფასეულობის მქონე უნიკალური ტყის მასივები ერგო. მილიონნახევრიანი ქალაქის საპირობო აუზის გამაჯანსაღებელი, ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ფუნქციის გარდა, ეს ტყეები ქალაქის ცხოვრების, მისი კულტურის, ესთეტიკის განუყოფელი ნაწილი და რეკრეაციის შეუცვლელი კერაა. მათი მნიშვნელობა განსაკუთრებულია ჩვენთვის — ნავისის, შინდისის, კოჯრისა და ტაბახმელას მოსახლეობისთვის.“

2012 წლის 21 მარტს, ქალაქ თბილისის მერიასა და შპს „მედ ჯგუფი საქართველოს“ შორის დაიდო ხელშეკრულება ნავისისა და კოჯრის ტყის 22-ჰექტარიანი უბნის პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ. შედეგად, შემოიღობა 80 ჰექტარამდე ტერიტორია. პირნიმნდად იკავება ჰექტრობით ტყის ფართობები. მოსახლეობას ეზღუდება ტყეებში შესვლა. შემოღობილ ტერიტორიაზე დარჩენილი სასმელი წყლის სათავო ნაგებობები, საფრთხე ექმნება წყაროებს, რითიც სოფლები სასმელი წყლით მარაგდება. იზრდება ბუნებრივი კატასტროფების რისკი, რაც არა მარტო ნავისისა და კოჯორს, არამედ თბილისის მნიშვნელოვან ნაწილს უქმნის საფრთხეს. ერთ დროს მწვანე ზოლის ტყეებში იგეგმება ე. წ. გამაჯანსაღებელი ცენტრის მშენებლობა, რაც სრულიად გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, ტერიტორიამ ოდესმე დაიბრუნოს ტყის სტატუსი და შეასრულოს შესაბამისი ფუნქციური დატვირთვა. მშენებლობაზე არ არის გაცემული შესაბამისი ნებართვა. სრულიად გასაიდუმლოებულია მშენებლობის პროექტი და სხვა საჯარო ინფორმაცია.

რაც მთავარია, იქმნება თბილისის უნიკალური ტყეების გაყიდვა-განადგურების პრეცედენტი, რაც შეიძლება, დამლუპველი აღმოჩნდეს ყოველგვარი რეგულაციის გარეშე დარჩენილი 12 000 ჰექტარი ე. წ. მწვანე ნარგავობისთვის და სახელმწიფო სატყეო ფონდიდან გამქრალი ასი ათასობით ჰექტარი ტყისთვის.

მიგვაჩნია, რომ ეს არის შვილების წინაშე ჩადენილი უდიდესი დანაშაული და წინაპრების უპატივცემულობის მაგალითი. ადგილობრივი მოსახლეობა არ აპირებს შექმნილ სიტუაციასთან შეგუებას და ყოველგვარი კანონიერი ფორმით გაუწევს წინააღმდეგობას თბილისის ტყეების განადგურების პროცესს.

მოგმართავთ თხოვნით:

1. შეწყვიტოს ნავისისა და კოჯრის ტყეების ჩეხვა, რომელიც დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს. 2. შეწყვიტოს პროექტით გათვალისწინებული ყოველგვარი სამუშაო მანამ, სანამ უზრუნველყოფილი არ იქნება მისი საჯაროობა და შეთანხმება მოსახლეობასა და საზოგადოებასთან. 3. თბილისის გარშემო ე.წ. მწვანე ნარგავობები დაუბრუნდეს სატყეო ფონდს. 4. საკითხის გარშემო დაიწყოს საჯარო დისკუსია ადგილობრივი მოსახლეობის, სპეციალისტების, საზოგადოებრივი და მედია ორგანიზაციებისა და შესაბამისი სამთავრობო უწყებების მონაწილეობით“.

ღია წერილს ხელს აწერს 530 მოქალაქე.

„ვერსიამ“ შპს „მედ ჯგუფი საქართველოს“ წარმომადგენლებთან დაკავშირება ვერ შეძლო — საკონტაქტო მონაცემებში მითითებულ ტელეფონის ნომერზე არავინ პასუხობს. ისე, შეუიარაღებელი თვალთვალ ჩანს, რომ სიმართლე მოსახლეობის მხარესაა — ნებისმიერი მოტივით, თბილისის უნიკალური ტყეების გაყიდვა-განადგურება, მართლაც, მიუღებელია, რადგან ამას საჯარო შედეგები მოჰყვება.“



# ექსტრაპანგანული გია ჯაჯანიძე საკუთარ ტვინს ყიდის!

## „არც ნაციონალი ვარ და არც „მეოცნებე“, ბვიადისცი ვარ!“

ნათია ვასაძე  
555-98-61-65

ხელოვნებამცოდნე, ფსიქოლოგი და ტელესახე  
ბიორბი ჯაჯანიძე, რომელიც გადაცემა  
„მზესუმზირის“ დახურვის შემდეგ, რამდენიმე თვე  
უმუშევარი იყო, საზოგადოებას თავს უკვე რადიო  
„პოზიტივიდან“ ახსენებს. განსხვავებული და თამამი  
იმიჯის მქონე ტელენამყვანზე ერთთავად ჭორაობენ,  
თუმცა ყველაზე უსიამოვნო ჭორზეც კი, ადრესატს  
განსხვავებული და საოცარი დამოკიდებულება აქვს  
— ნარმატივული რომ ვარ, იმიტომაც ჭორაობენ,  
თორემ ლიმონათის „ცეხში“ რომ დავრჩენილიყავი,  
ჩემი არსებობაც კი არ ეცოდინებოდათო.

— ვინც ჩემზე ჭორაობს და მლანძღავს, მათ გასაგონად  
ვიტყვი: ჩემი პირველი სამსახური ლიმონათის „ცეხი“ იყო —  
ყუთებს ვჭყდავდი. იქ რომ დავრჩენილიყავი და ნარმატივის  
თვის არ მიმეღწია, არც ტალახს შესროდნენ და არც ამდენს  
იჭორავებდნენ, ამიტომ ჭორები არასოდეს მაღიზიანებს. ამას  
წინათ, სოციალურ ქსელში ერთ გვერდს წავანყდი, რომელიც  
ჩემს მიმართ შეურაცხყოფელ მინაარსს შეიცავდა — გვერ-  
დის შემქმნელს ჩემი გადაცემებიდან „ამოჭრილი“ ფოტოები  
გამოუქვეყნებია... იცით, ამაზე როგორი რეაქცია მქონდა?! —  
ის ადამიანი, რომელმაც ამდენი დრო დაკარგა ჩემს მიმართ  
ბოლმის გადმოსანთხევად, შემეცოდა, როგორ დატანჯულა...

— გიორგი, ბედნიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ცო-  
ვებთ...

— დიას, ბედნიერი ვარ — ტვინი მაქვს უცნაურად მოწყო-  
ბილი და იმიტომ. კარგად მაქვს გააზრებული, რომ თუ ჩემს  
ცხოვრებაში რამე ცუდი მოხდება, რამდენიმე წუთის შემდეგ,  
წარსულს ჩაბარდება და რატომ უნდა ვინერვიულო იმაზე,  
რასაც აღარ ეშველება? თანაც, ყველანაირ ნეგატიურ ვითა-  
რებაში შემიძლია პოზიტივის დანახვა.

— ეს თანდაყოლილი თვისებაა თუ გამოიმუშავეთ?

— ხასიათმაც ხელი შემინყო და გამოცდილებაც დამეხმა-  
რა. ჭიათურაში დავიბადე და გავიზარდე. ჭიათურა კლდინი  
მხარეა და მოსახლეობა კლდეებს ნაგავსაყრელად იყენებდა.  
პატარა რომ ვიყავი, დავდგებოდი ამ კლდის ძირში და საათო-  
ბით ვუყურებდი კლდეზე შეფენილ ნაგავს, რომელიც ისეთი  
ლამაზი, ფერადი და ბრწყინავდა იყო, თვალს ვერ ვწყვეტდი.  
აქედან ვაკეთებ დასკვნას, რომ ტვინი ბავშვობიდანვე უცნა-  
ურად მაქვს მოწყობილი. ამას დაემატა გამოცდილებაც და,  
საბოლოოდ, დავრწმუნდი, რომ ყველაზე ნეგატიური მოვ-  
ლენისგანაც კი შეიძლება მივიღო სარგებელი. ერთ ამბავსაც  
გიახლოვებ: პირველი არხზე საზოგადოებასთან ურთიერთობის  
დეპარტამენტის დირექტორი რომ ვიყავი, ტელენამყვანის  
შესარჩევ კასტინგზე რეკომენდაცია ახალგაზრდა გოგონას  
გავუწიე, რომელიც აიყვანეს ამ პოზიციასზე და პირველი გა-  
დაცემაც გავიდა ეთერში, თუმცა მაღლობას ვინ ჩივის, ისიც  
არ მითხრა, იქნებ, გადაცემა ნახოო. მეორე დღეს ტელევიზი-  
აში მივედი და ვხედავ, დერეფანში მოდის. მომიახლოვდა და  
ის იყო, საყვედურის თქმა დავაპირე, ზედაც არ შემომხედა,  
ხელის აწევით მომესალმა და გაიარა. ამ გოგონზე გაბრაზე-  
ბულმა, იმ დღესვე დავწერე პროექტი — „საზოგადოებას-  
თან ურთიერთობის ხელოვნება“ და მივიტანე თეატრალურ  
უნივერსიტეტში, სადაც სპეციალური ჯგუფი ჩამოაყალიბეს  
და ლექციები მომცეს. ამის შემდეგ დავიცავი დისერტაცია,  
დავწერე ბევრი საინტერესო ნაშრომი, გავხდი ხელოვნებათ-  
მცოდნეობის დოქტორი... ყოველივე ამის შემდეგ კი, დავიბარე  
ის გოგონა და ვუთხარი, მთელი ცხოვრება შენი მაღლიერი  
ვიქნები, რადგან შენ რომ არა, ამხელა ნარმატივას ვერ მი-  
ვალწევდი-მეთქი.

— ჭიათურიდან უცხო ქალაქში ჩამოსულს, თავის დამ-  
კვიდრება არ გავიჭირდათ?

— იმდენად მიზანდასახული ვარ, ვერც კი ვგრძნობდი სირ-  
თულეებს. შემეძლო, სრულიად უცხო ადამიანთან მივსული-  
ყავი, მუშაობა დამანყებინე-მეთქი. დღემდე არ მეთაკილება  
არანაირი სამუშაო — დღესაც კი შემიძლია, ავიღო ჩემი გადა-  
ღებული რომელიმე ფოტო და 10-15 ლარად გავყიდო. ძალიან  
პრაქტიკული ადამიანი ვარ — არ მაქვს ბიზნესი, მაგრამ მაქვს  
ტვინი, რომელსაც გამოდმებით ვყიდი. მოკლედ, არ მაქვს  
ბიზნესი, მაგრამ მაქვს ბიზნესის კეთების ნიჭი.

— ტელეკომპანია „მზე“ დაიხურა, თუმცა უმუშევარი  
დიდხანს არ დარჩენილხართ და რადიოში გადაინაცვლეთ...

— ხელისუფლების ცვლილების პარალელურად, როგორც  
წესი, ტელევიზიებშიც იწყება საკადრო ქაოსი. უძალო ქვე-  
ყანაში კატას აყვებდნენ, ნათქვამია და სავსეა ქართული  
ტელევიზიები ასეთი „კატებით“, თუმცა მჯერა, ყველაფერი  
მაღე დალაგდება და ამ ქაოსის შედეგად ტელევიზიებში მოხ-  
ვედრილები, მუშაობის გაგრძელებას არაპროფესიონალიზმის  
გამო ვეღარ შეძლებენ. აქედან გამომდინარე, მშვიდად ვარ —  
ახალი სატელევიზიო პროექტი მაქვს გამოზადებული და ჩემს  
დროს ველოდები. რაც შეეხება რადიოს, მქონდა გადაცემის  
იდეა, რომელიც კარგად „გაიყიდებოდა“.

— როგორ ფიქრობთ, გადაცემა პოპულარული იქნება?

— კარგად მესმის პიარის ხელოვნება და ამიტომაც, ტე-  
ლევიზიებისა და რადიოების მხრიდან ყოველთვის დიდი  
დაინტერესებაა ჩემი პროექტების მიმართ. ჩემი პროექტია  
ყოველთვის გაყიდვადია, ხშირად უთქვამთ, ჯაჯანიძე ის სა-  
ხეა, რომელიც კარგად „გაიყიდებოდა“.

— თუმცა, რადიო ნაკლებად მოცემთ განსხვავებული  
იმიჯის წარმოჩენის საშუალებას...

— დარწმუნებული ვარ, ეს გადაცემა მხოლოდ ჩემი აქტუა-  
ლობის კი არა, თავისი ფორმატისა და შინაარსის გამო იქნება  
პოპულარული. რაც შეეხება იმიჯს, მაცვია ის, რაც მომწონს.

— „კალში“ სიარულიც მოგწონდათ?

— ეს, მართლაც, სასაუბრო ისტორიაა.

ერთხელ, ჩემმა ე.წ. კეთილისმსურველმა  
მითხრა, შენზე ამბობენ, ცალ-ცალი „კალში“  
ჩამოვიდა ჭიათურიდანო. მართალი გითხრათ,  
„კალში“ ბავშვობის მერე არ მინახავს, მაგრამ  
რეაქცია მქონდა საოცარი — ნაცვლად იმისა,  
რომ გავბრაზებულიყავი, წავედი ბაზრობაზე,  
ვიყიდე ექვსი ნომერი „კალში“, ჩავიტანე  
ჯინსი წინდებში და ასე ჩაცმულ-დახურული

გამოცხადდი „მარიოტში“ პრეზენტაციაზე.  
ეს იყო ჩემი პროტესტი ამ სნობური  
საზოგადოების მიმართ და არა — ყურადღების  
მისაქცევად გადადგმული ნაბიჯი. მოკლედ,  
ყველაფერს ჩემებურად, უმტიკუნეულად  
ვაპროტესტებ...

— საზოგადოების აზრი არ გაინტერესებთ?

— ესაა საზოგადოების დიდი ნაწილის სიბეცე. სამი წელი  
ვიჯექი „მზესუმზირის“ ეთერში და თემატურად ვიცვლიდი  
იმიჯს — ხან „ტაშტი“ მედგა თავზე, ხან ბალიშს დავიფარებ-  
დი, ხან ფრთებს დავიმარებდი და ა.შ. სანახაობის გარეშე,  
ტელევიზია არ არსებობს. ასე რომ, შოუმენი ვარ და ვაკეთებ  
შოუს. ბალიშითა და „ტაშტით“ ქუჩაში არ მივლია, ამიტომაც  
არ მაინტერესებს იმ საზოგადოების აზრი, რომელიც უმიზე-  
ზოდ მესვრის ტალახს.

— შემოთავაზება რომ მიიღოთ, პოლიტიკურ გადაცემას  
ნაიყვანთ?

— არა, რადგან, ჩემი აზრით, პოლიტიკა პოლიტიკოსმა  
უნდა აკეთოს, ხელოვნება კი — ხელოვნება. არ მიყვარს პო-  
ლიტიკაში ძრომილი, თუმცა გარკვეულ მოვლენებზე ჩემი  
მოსაზრება მაქვს და პოლიტიკურ რეალობასაც საღად აღ-  
ვიქვამ. არ მომწონს, როცა ზედმეტად რადიკალურიები არიან  
მოვლენების მიმართ. საკმარისია, გამოვთქვა რამე კრიტი-  
კული აზრი ამ მთავრობაზე, მაშინვე მეცემიან, ნაციონალი  
ხარო და პირიქით... ამიტომ ვიპოვე გამოსავალი და როცა  
მეკითხებიან, ნაციონალი ხარ თუ „მეოცნებეო“, ვპასუხობ:  
ზვიადისცი ვარ-მეთქი.

— თანამდებობებზე ნაცნობ-მეგობრების დანიშნის  
ქართულ ტრადიციაზე რაღას ფიქრობთ?

— სანამ ქართველები პროფესიონალიზმის ფასს არ ისწავ-  
ლიან, არაფერი გვეშველება. „ვიჟენ მარი გოლდის“ მთავარი  
რედაქტორი გახლავართ და ვერ წარმომიდგენია, ვინმე ნაც-  
ნობობით მივიღო სამსახური. საშინლად არ მომწონს მსგავსი  
ტრადიცია. ეს კი არა, როცა საზოგადოებრივ არხზე დავიწყე  
მუშაობა, რამდენიმე თვეში, ჩემი ქალიშვილი გავუშვი სამსა-  
ხურიდან. ამის გამო, ჩემი ყოფილი მეუღლე და დედაჩემიც  
გამინანყებდნენ, ბავშვი სამსახურიდან როგორ გამოუშვიო,  
მაგრამ აუფხსენი, რომ საქმეს სათანადოდ ვერ აკეთებდა და  
ხელფასს, რასაც ტელევიზიაში იღებდა, ყოველთვის ვერ ჩემი  
საკუთარი ჯიბიდან მიიღებდა.

— ქალიშვილი და ყოფილი მეუღლე ახსენეთ... რამდენ-  
იმეჯეებზე იყავით დაქორწინებული. კიდევ ხომ აპირებთ  
ოჯახის შექმნას?

— არ ვარ მერყევი ადამიანი, უბრალოდ, აზრები მეცვლება  
— იყო პერიოდი, როცა მარადიული სიყვარულის მჯეროდა,  
მერე უკვე შეხედულებები გადაფასდა და უფრო პრაგმატულად  
მივუღექი ყველაფერს. ერთადერთი ადამიანი ვიცი ამ ქვეყნა-  
ზე, რომელსაც ასაკშიც კი პირველყოფილი სიძლიერით აქვს  
გრძნობა შემორჩენილი — ეს 75 წლის ქალბატონია, რომელმაც  
ასეთი რამ მითხრა, ჩემი მეუღლე რომ ამოდის კიბეზე, შორი-  
დანვე ვცნობ მის ნაბიჯებს და ისე მიძვერს გული, როგორც  
პირველი შეხვედრისასო. ასე რომ, დაგეგმილი არაფერი მაქვს —  
ჩემთვის, ამ გადმოსახედიდან, სიყვარული არის მოწონება, ვნე-  
ზე და ერთმანეთის მიმართ უანგარო დამოკიდებულება, თუმცა  
ვალაღობ — მუდმივად მაქვს თბილი ურთიერთობის მოთხოვ-  
ნილება. ხანდახან ლექსის წერის სურვილიც კი მომეძალება და  
სასიყვარულო სტრიქონებს ვწერ — რომელიმე კონკრეტული  
ადამიანის მიმართ კი არა, რაღაც შიგნით მენტატრება ხოლმე.





# ჰოროსკოპი 10 ივნისი

- ვერი** — დღეს ეგუდა ის რჩევა გაითვალისწინო, რასაც გარშემოშედეგებისგან მიადებთ. აუცილებელია, გამოაჩინოთ ინტერესი და აქტიურობა — რაც შეეძლება კითხვას დასვამთ, მით შეეძლება სწორი პასუხის მიღება.
- კურო** — დღეს ის ცხოველების სხვადასხვა სუბსპეციესი გვალელებს უკავშირდება, განსაკუთრებით თანამოაზრეებს. წყურფარად იცით, რომ მიზნის მისაღწევად თავდასწრაფი შრომა მოგიწევთ, თუცა ეს არ გასწავთ.
- ცულები** — ტყუილებს დღეს გაუჭირდებათ ადამიანებთან კონსტრუქციული ურთიერთობის დამყარება, ამიტომ შეეცადეთ, ეგუდა მნიშვნელოვანი საკითხი ტელეფონით მოაგვაროთ. დღის შუაღამს ნახევარში ვითარება უკეთესობისკენ შეიცვლება, მაგრამ სჯობს, კონსტრუქციების თავიდან ასარიდებლად, შინ დარჩეთ.
- კირჩხიბი** — დღეს საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებით: არსებობს გაკეთება მოგიწევთ საკუთარ საქმას ინტერესებს და შეგობრების დახმარებას შორის. ძნელი აქნება სულიერი წინასწარობის შენარჩუნება, მაგრამ საღამოს დაძაბულობა მოახსნენ და ცოცხალი გაერთეთ.
- ლომი** — ღამის თვის განმავლობაში საკმაოდ გაუჭირდებათ, მაგრამ თუ გინდათ, საქმეში წარმატებას მიაღწიოთ, ამის გაკეთება მანერ მოგიწევთ. ადამიანები თქვენთან გაბეჭდულ გადაწყვეტილებებს მოითხოვენ. ნუ გაუცრუებთ მით იმედი, იმოქმედეთ ღირსეულად და ფრთხილად.
- ქიშკი** — დადგა შესაფერისი დღე, როცა ქაღალდებს შეუძლიათ საფუძვლიანად შეეცადონ სტატუსი ან ახალი საინტერესო საქმით დაეკავდნენ. გვალეებში ზირად ცხოველებშიც მოილოდ სისარულის და პარამიანის მომტანი აქნება, ოღონდ ამისთვის გაბეჭდული ნაბიჯის გადადგმა მოგიწევთ.
- სასწორი** — დღეს ეგუდას დაუმტკიცებთ, რომ იმსჯე შეეძლება, ვიდრე მთ პკონათ. სარწმუნოდ გაუმჯობესდება ფინანსური მდგომარეობაც, შესაძლოა, შესვდეთ გაგულებიან ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოველებში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.
- ღრიანჯლი** — შესვდრებთ დატვირთული დღე გულით. მოგიწევთ ხელაფრებაზე დასუსტებაში ჩაბმა, ბევრი საუბარი მუხაკაზე, ფილმებზე... შეეცადეთ, ამა თანამოაზრეს თქვენი ზრისთან მიმართ ინტერესი არ ჩაუქროს. დღის შუაღამს ნახევარში კი თავს სასიამოვნო საჩუქარი გაუგულოთ.
- მშვილდოსანი** — მშვილდოსნებს ადრინადა უნდა დაიჭიროთ თანარევი სტუმრების მისაღებად. დღეს ბევრი მოასურებს თქვენთან შესხედრას და საუბარს ვიწრო კამჩანაში. ნუ შეეცდებით ახლობლების გაცეცხას კულისარული შედეგებით — ისინი საჭეულად კი არა, თქვენთან დროის სასიამოვნოდ გასატარებლად მოიან.
- თხის რქა** — დღეს საუკეთესოა საქმიანი მოგზაურობის და მოაღწარაგებისთვის, შესაფერისი მომტნა საეგრულად ადამიანთან ურთიერთობების გასარეგებად.
- მერწყული** — დღეს ხნის წინ დაწყებულ საქმეს დასრულებთ, რაც თქვენი ახლობლების ცხოველების გაუმჯობესებისკენ აქნება მიმართული. ფინანსების შრაგ, საკმაოდ წარმატებული დღეა.
- თევზები** — თევზებს დღეს კოლეგების, მშობლების და ასევე, ახლი ნათესავების ურთიერთობაში სირთულეს უნდა გადაეცინოს. დღის განმავლობაში უფრო სერიოზული და შრომატვიფარე იქნება. საღამოს, შესაძლოა, ფინანსური პრობლემაც გაჩნდეს.



## ყველაზე ძვირად ჰოთ-დოგი დაამზადეს

ნიუ იორკის რესტორანში 230 Fifth მომზადებული ჰოთ-დოგი გინესის რეკორდების ნიგში შევიდა, მიზეზი კი მისი ფასია — სწრაფი კვების ეს „ატრიბუტი“ 2 300 დოლარი ღირს, ხოლო მის შემადგენლობაში შედის 60 წლის საქონლის ხორცის რაგუ, ძვირადღირებულ შამპანურში Dom Perignon კარამელიზებული, ასევე ძვირადღირებული ხახვი, ხიზილა და შამპანურში Cristal შემწვარი მთავი კომბოსტო. ვისაც აქვს შესაძლებლობა და სურვილი, ეს რეკორდსმენი კერძი დააგემოვნოს, რესტორანს შეეკეთა 48 საათით ადრე უნდა მისცეს.

კიდევ ერთი სახის ძვირადღირებულ ჰოთ-დოგს ცნობილი შეფ-მზარეული მაიკ ჯულიანო ამზადებს — მის სენდვიჩში ასთაკის ხორცი შედის. რამდენიმე წლის წინ კი, „ყველაზე ძვირადღირებული ჰოთ-დოგის“ ტიტულს 145 დოლარად შეფასებული California Capitol City Dawg ფლობდა.

# გენეტიკური მუტაცია მეხსიერებას აუმჯობესებს

კანადელმა სწავლულებმა აღმოაჩინეს გენეტიკური მუტაცია, რომელიც მეხსიერების გაუმჯობესებას უწყობს ხელს. მკვლევართა აზრით, ეს აღმოჩენა განაპირობებს ახალი პრეპარატების შექმნას, რომელიც ალცჰეიმერისა და სხვა ნიროდეგენერაციული დაავადებების მკურნალობას გააადვილებს. თავებზე ჩატარებული ექსპერიმენტისას, მონრეალის უნივერსიტეტის სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მღრღნელები, რომელთაც eIF2a-გენის (ის პროტეინის სინთეზის კოდირებას ახდენს) დეფექტური ვერსია ჰქონდათ, უკეთესად ასრულებდნენ დავალებებს. კერძოდ, აუზში გაშვებული მუტანტი-თაგვები ადვილად პოულობდნენ წყალქვეშ მცირე პლატფორმას და ფეხზე დგებოდნენ. მკვლევარების თქმით, მუტანტი გენის მქონე მღრღნელები თანამომეებისგან აშკარად გამოირჩეოდნენ. იმის დასამტკიცებლად, რომ თაგვების უჩვეულო უნარი სწორედ მუტაციურ გენს — eIF2a-ს უკავშირდება, მეცნიერებმა ცხოველების ორგანიზმში ხელოვნურად გაზარდეს ამ პროტეინის დონე, რის შემდეგაც მათ აშკარად გამოუვლინდა მეხსიერების დარღვევის ნიშნები. კანადელი სწავლულების მოსაზრებით, პრეპარატებმა, რომლებიც ადამიანის ორგანიზმში ცილა eIF2a-ს ბლოკავს, შესაძლოა, დიდი დახმარება გაუწიონ ავადმყოფებს, რომლებიც მეხსიერების დაქვეითებით იტანჯებიან.



## თამბაქო ბიჭებს ჩანასახშივე კლავს



ბრიტანელი მკვლევარების მონაცემებით, იმ ოჯახებში, სადაც მწველი დედა-მამაა, ბიჭები ორჯერ ნაკლებად იბადებიან, ვიდრე გოგონები. ლივერპულის ტროპიკული მედიცინის სპეციალისტებმა 9 ათასამდე ფეხმძიმე ქალის მონაცემები შეისწავლეს, რომლებიც 1998-2003 წლებში იყვნენ აღრიცხვებზე. მეცნიერთა მოსაზრებით, იმ ქალებს, რომლებიც ფეხმძიმობის პერიოდშიც ეწეოდნენ, ბიჭები სამჯერ ნაკლებად უჩნდებოდათ, ვიდრე არამწველებს. გარდა ამისა, თუ ორსულობისას სიგარეტს არა მარტო მომავალი დედა, არამედ მისი პარტნიორიც ეწეოდა, მამრობითი სქესის დაბადების შანსი 50%-ით მცირდებოდა. ბოლო დაკვირვებები, როგორც გამოკვლევის ავტორები აღნიშნავენ, იმაზე მიუთითებს, რომ ფეხმძიმობის მიმდინარეობაზე გავლენას ახდენს არა მარტო აქტიური, არამედ პასიური მოწვევაც. მეცნიერთა აზრით, მწველ მშობლებში ბიჭების დაბადების შანსის შემცირება დაკავშირებულია იმასთან, რომ მამრობითი სქესის ემბრიონები ნაკლებად სიცოცხლისუნარიანები არიან. მავნე ნივთიერებები, რომელსაც თამბაქოს ბოლი შეიცავს, ნეგატიურად მოქმედებს ნაყოფის განვითარებაზე ყველა შემთხვევაში, თუმცა მამრობითი სქესის ემბრიონის სიკვდილის საფრთხე უფრო მეტად ემუქრება.

## სკიპმას ძვლის ცვინისგან მიიღებენ

გერმანელ მკვლევართა ჯგუფმა ადამიანის ძვლის ცვინის ლულოვანი უჯრედებიდან სპერმატოზოიდების წინამორბედი უჯრედების მიღება შეძლო და ამგვარად, მეცნიერებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს ლაბორატორიულ პირობებში ხელოვნური სპერმის მიღების საქმეში. გამოკვლევა გეტინგენის უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ ლაბორატორიაში ჩატარდა — გერმანელმა სწავლულებმა მოხალისე მამაკაცების ძვლის ცვინის ნიმუშებიდან აღებული ლულოვანი უჯრედები გამოიყენეს. უნდა აღინიშნოს, რომ ნორმაში ეს უჯრედები დიფერენცირდება ძვლის, ხრტილის, კუნთოვან ან ცხიმოვან უჯრედებში. მკვლევარებმა შეძლეს უჯრედების დიფერენციაციის მიმართულების შეცვლა და ისინი სპერმატოგონიად — ჩამოყალიბებული სპერმატოზოიდების წინამორბედად აქციეს, რომლებიც ქრომოსომათა ორმაგ ნაკრებს შეიცავს. სრულყოფილ სპერმატოზოიდებად გადაქცევისთვის სპერმატოგონიებმა მეოზის დაყოფა უნდა გაიარონ, რომლის დროსაც მათში ქრომოსომათა რიცხვი ორჯერ მცირდება. პროცესის ამ სტადიაზე მიყვანა ლაბორატორიულ პირობებში ვერ მოხერხდა. ადამიანის ძვლის ცვინისგან სრულყოფილი სპერმის მისაღებად, როგორც გამოკვლევის ავტორები აცხადებენ, კიდევ 3-5 წლიანი გამოკვლევები საჭირო. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ცხადი, მსგავსი ტექნოლოგიები დაიმკვიდრებს თუ არა ადგილს მედიცინაში.



## დაწოლილ მდგომარეობაში კითხვა ტვინს კლავს

დაწოლილი კითხვის მავნე ჩვევა და თან აქეთ-იქით გადაბრუნება არა მარტო აუარესებს ადამიანის მხედველობას, არამედ თავის ტვინის ქერქში სისხლის ცირკულაციას არღვევს. შედეგად ადამიანს კეფის ტკივილი გამოუდმებით აწუხებს, — აღნიშნავენ სპეციალისტები. გარდა ამისა, ნოლით მდგომარეობის გამო ორგანოებს უნაგზადი სათანადოდ ვერ მიეწოდება, რიტმული სუნთქვაც ირღვევა და ინტელექტუალური საქმიანობის დონეც ქვეითდება. სწორედ ამიტომ ეძინება ადამიანს დაწოლილ მდგომარეობაში კითხვისას, ხოლო ასეთ დროს მხედველობაც რომ უარესდება, ეს დიდი ხანია, ყველასთვის ცნობილია.



# კ რ ე ტ ა უ მ ა ე ნ ი ა

## ადვილი

## სტანდარტი

## რთული

## ექსპერტი

4	9	8		3				
1				8	7			
			5					
	5			8		4		
9								6
		3		2			7	
				6				
		4	9					5
				5	3	2	9	

		1	8			6		4
	5				6			8
				3			9	
6	7							
1		3				8		2
							4	5
	6			8				
4			7					8
8	9			1	2			

	1			3	9			
3					8	9		2
		9		5				
	9					2		8
1	8		6			5		4
5	3						9	
				1		6		
8	2	4						7
			3	8			2	

								3	2
		3	7	4	2				
		1							
	8		2		3			1	
1									6
	7		5		9			8	
								8	
			9	2	7	5			
3	2								7

1. სოკრატეს კაპასი ცოლი	2. ჩოლს დედაქალაქი	3. ყველაზე პატარა თითი	4. იაპონიის ფულის ერთეული	5. ჯეიმს ბონდის ლიტერატ. „მაზა“	6. ჩრდილო-კავკასიური ცეცხვი	7. კათალიკოსი „დიდოსტატის მარჯვენაში“	8. სასულელო რეჟისორი
9. ყველაზე დიდი მახვილებული გველი	10. დაკრძალვის ანტიონიმი	11. ვაფუქტე ბული ლეონი	12. ვაზების მწკრივი ევანგელისტაში	13. ათაბაგიანი მონეტა ძველ ქართულში	14. თარსი რიცხვი	15. ივიევა, რაც იანანა	16. სამხედრო პირის აღკვეთილობა
		17. მესაქონლე გლეხი მონღოლეთში	18. ვანის მიკოლდ აპრილი წველიძე-ხინი რუა	19. სოფლური სახლი შვეიცარიის ალპებში			
20. ქალაქგარეთ დასასვენებელი სახლი	21. ვიოლინების იტალიური ოსტატი			22. აშშ-ის კოსმოსური ცენტრი		23. პირველი პირის ნაცვალ-სახელი	24. გამოუწვავი აგური
				25. კათოლიკური წირვა			27. მოსნილი ანარქისტი, ავსტრო-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის მკვლეელი
28. სასულელო რეჟისორი			29. ლმერთების დედა ველიწში	30. კორე სიმფონიის კომპოზირი	31. ქაპანელი მხატვარი	32. სახის გამოკვეთვა, შესახებ	33. მხატვარი „გრეკო“
	36. ზღვის დიდი კობი			37. ჰამბურგის მხუბი			34. ნიდერლანდელი ფილოსოფოსი
				38. ბალი ძე ქართულში		39. პლასიდო დომინგოს სასიმღერო სმა	35. მინი-ვენდობის აზრი, ჩანაფიქრი
		40. მადრიდის მეგობარი პითონი	41. XI ს-ის ქართველი ისტორიკოსი			42. თოვლის დედოფლის ტყვე ბიჭუნა	43. ბულგარული არაყი
	44. ქართლის „დედაქალაქი“	45. რუსი პოეტი „კაზაკოვა“	46. ყველაფრის „მკურნალი“	47. ჩინური ტანვარჯიში		48. კოსმოსური ხომალდი	49. კორეული ავტომარკა
							50. ზრდილობიანი მიმართვა პოლონური კაცისადმი
			51. ცნობილი იტალიელი მეკარე ძოფის სახელი			52. ჯაგინიანი ქვეშაღი	53. ძველ-ჩინური სივრცის ერთეული
	55. სასურველი საფრულო ადამიანი სესურება			56. ფშაველია მთავარი სალოცავი	57. მოცარტის ოპერა „... უფანი“	58. სატელეფო „სიტყვა“	54. სინათლე ბაგმის წახე
						59. VI ს-ის	
	60. პეტრის შემოკლებული აღნიშვნა	61. ეკლერის „კოლეგა“	62. თეთრი ჯიშის ჯიშე	63. იაპონური მამი		64. ჩალონის ბოლო ცოლის სახელი	65. არხი ჩოლ და სამხრ. ამერიკის შორის



### წინა ნომერი გასული სკანოკრდისა და სულოკუს პასუხები

ადვილი	სტანდარტი	რთული	ექსპერტი
7 1 9 6 4 5 2 8 3	3 9 7 1 6 8 4 5 2	8 7 9 6 5 4 2 3 1	5 3 7 1 6 8 2 4 9
8 4 3 7 2 1 9 6 5	5 4 2 7 3 9 6 1 8	4 3 6 2 1 8 5 9 7	4 2 1 7 5 9 8 6 3
5 2 6 3 9 8 4 7 1	1 6 8 2 5 4 7 3 9	2 1 5 3 7 9 6 8 4	9 6 8 4 2 3 1 7 5
4 9 8 5 6 3 1 2 7	4 5 3 9 2 1 8 7 6	1 9 4 8 6 7 3 5 2	3 9 6 5 8 4 7 2 1
3 7 5 2 1 9 6 4 8	2 8 1 6 7 5 3 9 4	7 2 3 1 9 5 4 6 8	7 8 2 6 3 1 9 5 4
2 6 1 8 7 4 5 3 9	9 7 6 4 8 3 5 2 1	6 5 8 4 2 3 1 7 9	1 4 5 2 9 7 3 8 6
1 5 7 4 3 6 8 9 2	8 2 9 5 4 7 1 6 3	9 6 2 7 3 1 8 4 5	2 1 4 3 7 6 5 9 8
6 8 2 9 5 7 3 1 4	6 3 5 8 1 2 9 4 7	5 8 1 9 4 6 7 2 3	8 5 3 9 4 2 6 1 7
9 3 4 1 8 2 7 5 6	7 1 4 3 9 6 2 8 5	3 4 7 5 8 2 9 1 6	6 7 9 8 1 5 4 3 2

მე-13 გვერდი: 1. ტივი; 2. ცივა; 3. შივა; 4. ანთროპოლოგია; 5. რენეგატი; 6. პოინტერი; 7. ფინიში; 8. თეძამი; 9. აპათია; 10. კლინი; 11. ავიკა; 12. ტოვა; 13. მიმი; 14. ალენ; 15. ანურია; 16. პრემიერლიგა; 17. რენდიუ; 18. რეტი; 19. მაჯა; 20. ურია; 21. ამა; 22. ნიამეი; 23. ნაუტილუსი; 24. მიკი; 25. ტანდია; 26. მძიმე; 27. ჯონკა; 28. სტერილიზატორი; 29. ემი; 30. ობი; 31. აბაშა; 32. ჯასტინ ბიბერი; 33. ნაია; 34. ქვახვერელი; 35. ომი; 36. იტურუპი; 37. ინსტინქტი; 38. სან-მარინი; 39. ბრა; 40. ფშატი; 41. აღორაცია; 42. ტომბატი; 43. ვერსია; 44. ენო; 45. ვარიაგი; 46. აგამია; 47. ენი; 48. ეხი; 49. მეღვინი; 50. გერუსია; 51. ურო; 52. ალუდა; 53. პან; 54. შენონი; 55. ლომბერი; 56. რიზე; 57. აპისი; 58. ბმო; 59. მიოი; 60. ური; 61. ლია; 62. კირხე; 63. ბულა; 64. ტირე; 65. ოსლო; 66. მაცი; 67. ომი; 68. ბაქო; 69. ლევი; 70. დარიოსი; 71. რური; 72. ერე; 73. დიპლომა; 74. ალაო; 75. ლენ; 76. ანარქია; 77. ინი; 78. სოლო; 79. სორვინი; 80. ადრიანო; 81. გნუ.

### სარკეში ურება ახერებს?

ამერიკელი სწავლულები გვარნმუნებენ, რომ ადამიანი რაც ხშირად ჩაიხედავს სარკეში, მით სწრაფად დაბერდება. ეს დასკვნა მათ 15-წლიანი ექსპერიმენტის საფუძველზე გამოიტანეს, რომელშიც რამდენიმე ათეულმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მკვლევარები სპეციალური ზემოქმედებით დეტექტორის მეშვეობით აკვირდებოდნენ მოხალისეების ორგანიზმს სარკეში ყურებისას და აღმოაჩინეს, რომ ვინც დიდ დროს ატარებდა სარკის წინ, რამდენიმე წუთში დალილობას გრძობდა, დროთა განმავლობაში კი მესხიერების გაუარესებაც აღენიშნებოდა. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ სარკე ადამიანის ენერჯის აკუმულირებას ახდენს და რამდენიმე წუთით ენერგეტიკულ ვამპირად იქცევა, ამიტომ მისი მსხვერპლი ყველაზე ხშირად სწორედ სარკეში საკუთარი ანარეკლით ტკობის მოყვარულია.







# ჰოროსკოპი 11 ივნისი

# სილამაზის შესანარჩუნებლად შვილის პლაჯენტის შეჭმას აპირებს

ცნობილ ადამიანებს, თითქოსდა, ჩვენს გასაოცებლად აღარაფერი დარჩათ, მაგრამ სილამაზის და ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად ისეთ ნაბიჯებს დგამენ, ადამიანს თმა ყალყზე დაუდგება. დიეტა, ბოტოქსი და ტრადიციული სპა-პროცედურები უკვე წარსულს ჩაბარდა: ამერიკელი ტელენამყვანი, კენი უესტის მეგობარი ქალი კიმ კარდაშინი, ახალგაზრდობის შესანარჩუნების მიზნით, კარდინალური ზომების მიღებას აპირებს. აქამდე მან უკვე სცადა გაახალგაზრდავების ვამპირული მეთოდი — ვენიდან გამოღებულ სისხლი, გადამუშავების შემდეგ, სახეზე ნემსით შეუყვანეს; ახლა კიმი რვა თვის ფეხმძიმეა, მალე ბავშვსაც გააჩენს, რომლის პლაცენტის შეჭმასაც გეგმავს. რეალიტი-შოუს ვარსკვლავი უკვე დაინტერესდა ამ თემით და კონსულტაცია ექიმებისგანაც გაიარა. კარდაშინის თქმით, პლაცენტა ლაკტაციასაც უწყობს ხელს და მშობიარობის შემდგომი დეპრესიის რისკსაც ამცირებს. ტელენამყვანის ამ გამოგონებელი განცხადების მიუხედავად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ცნობილ ადამიანებს შორის იგი პირველი არ იქნება, ვინც ასეთი ნაბიჯის გადადგმა გადაწყვიტა. ბავშვის გაჩენის შემდეგ პლაცენტა შეჭამეს ამერიკელმა მსახიობმა და ფოტომოდელმა ჯენიფერი ჯონსმა და „პლეიბოის“ მფლობელის, ჰიუ ჰეფნერის მეგობარმა ქალმა ჰოლი მედისონმა. მამაკაცებში კი, ამ მხრივ, ტომ კრუზი გამორჩეული — მან ახალდაბადებული სურის ქიპლარიც კი გაკვნიტა კბილით, სხვათა შორის, ამას საინტოლოგიური ეკლესიაც ითხოვს, რომლის მიმდევარიცაა პოპულარული მსახიობი.



- ვერი** — ასეა წარმოდგენილი დაკავების დრო არ არის. სუბილ, ერთი მიმართულებით აბრუნო და მის მიხედვით, გარკვეულ კომპრომისებზე წასვლაც მოგიწევთ, რათა გარშემოგარემოს და შინაურებთან ურთიერთობაში წინასწარობა შეინარჩუნოთ.
- კურო** — დღეს წარმოქმნილი პრობლემები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არ იქნება, მაგრამ მათ მოგვარებას დიდი დრო და ენერჯია სჭირდება. შეეცადეთ, დისკუსიის დაიწყეთ და ევლადიერს ნუ დაიჯერებთ, რისი მოსმენაც მოგიწევთ.
- ტელური** — დღეს არაა სასურველი მოვლენების ფორსირება სმისურში. ჯერჯერობით დაწესებული საჭი, კვადო, ევლადი დაამატოთ წესრიგი და ნურც სხვების დახმარების იმედი გქონებათ. თავი შეაჯივოთ დიდი ფინანსური წარუბისგან.
- კირჩხიბი** — დღე სწრაფ ტემპში ჩაივლის და მოვლენებით გადატვირთული იქნება, მაგრამ თუ რაიმე საქმის გაკეთებას ვერ მოახერხებთ, ნუ ეცდებით თავსწივით ახტომაში. სასამართლო შეხვედრები და ასევე რომანტიკული გზატკეცილები გელით, ოღონდ მოვლენებს ნუ დააჩქარებთ.
- ლომი** — კონსტიტუციური იტავით, წინასწარ შეისწავლეთ, უფულოდ დარჩებით. ზედმეტი მფლანგელობის გამო, გარკვეული გეგმების განხორციელების გადადება მოგიწევთ. შეეცადეთ, ამ მდგომარეობაში განსწობა არ გათვალისწინოთ — ზოხიტიური ტენდენციები იმდენად ძლიერია, რომ მხოლოდ ინტუიციას ენდოთ და წარმტყბაც არ დააყოვნებთ.
- ქვინული** — მოსაწყენი პერიოდი გელით. გარშემოგარემოებთან ურთიერთობაც გაჭირდება. შეეცადეთ, მოვლენების ასევე სფერო გამოიყენოთ: გაქვთ შინაი, აქ წარმტყბაც მადაწიოთ. ასევე ურთიერთობა მოთმინებს მათთვის.
- სასწორი** — არც ისე ცუდი დღეა. საუკეთესო შედეგების მისაღწევად ამ ნიშნის წარმომადგენლებს აქტუალური პრობლემებით დაკავება მოგიწევთ. მომავალზე ფიქრის დრო კი ცოტა მოგვანახვით გქონებათ. შესაძლოა წარმტყბაც გარეგანში, თუმცა მნიშვნელოვანია, გარვი ურთიერთობა შეინარჩუნოთ კოლეგებს და სულმდგენელობასთან.
- ღრიანჯლი** — დღეს აღმოაჩენთ, რომ ევლადი რთული უკან მოიტოვებთ, თუმცა ნუ მოდუნდებით, რადგან კიდევ დიდი ძლისხმევა გჭირდებათ დასასული მიხნის მისაღწევად. გადაწყვეტილებების მიღებისას, ენდოთ საკუთარ ინტუიციას. მოსალოდნელია უმიწეო კამათი საეგრედ ადამიანთან.
- მშვილდოსანი** — ოჯახში სიმუდროვეს და სიბოხს შეიქმნით, მაგრამ დღის მეორე ნახევარში, შეიძლება, უსამართლო ცვლილებები მოხდეს, ამიტომ ზირად ცხოვრებაში ერთგვარი სიფრთხილე გმართებთ — წარმტყბაცს მიღწევს ძლის გამოყენებით ნუ შეეცდებით.
- თხის რქა** — გარვი დღეა საჭიანი მოგსწარობის და შეხვედრებისთვის. შეეცადეთ, უფრო მიხნდასასული იყოთ. ვარსკვლავები გაფრთხილებენ, საკუთარ ჯანმრთელობას მისჯიოთ, რადგან არის ალბათობა, ქრონიკულმა დაავადებებმა იჩინოს თავი.
- მერწყული** — ასევე ნაწილობრივ კონტაქტი სერიოზულ პერსექტივას გზირდებათ. უფობისა, ურადღება განახილოთ საჭიანი შეხვედრებზე, რადგან შესაძლოა, თქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ აქ გადაწყდეს. ცვლილებების და ასევე კონტაქტების დღეა, ფინანსური მდგომარეობაც შედარებით გაუმჯობესდება.
- თევზი** — თქვენ ბუჯუტეა ნელ-ნელა, მაგრამ მინც უფობესდება. დღეს არ გირჩევთ, რაიმე ასევე საქმის წამაწყებას, სუბილ, ძველ პრობლემებს მიუბრუნდეთ, მათი მოგვარების შინა დიდა.



## ინფექციები ინფექტს აქვითებს

ამერიკელმა მეცნიერებმა ჰიპოთეზა წამოაყენეს, რომლის მიხედვითაც, ადამიანის ინტელექტზე გავლენის მქონე ფაქტორებს შორის მთავარ ადგილს ინფექციური დაავადებები იკავებს. გამოკვლევების დროს ექსპერტები აშშ-ს ათი შტატის მცხოვრებთა ჯანმრთელობის მდგომარეობასა და მათ ინტელექტის დონეს ადარებდნენ. შედეგებმა აჩვენა, რომ ამ შტატებიდან ყველაზე „ჭკვიანები“ ჯანმრთელი ადამიანები არიან, ხოლო სადაც ინტელექტის დონე ყველაზე დაბალი იყო, აღმოჩნდა, რომ ამ შტატების მცხოვრებნი ხშირად ავადდებიან ვირუსებით. კიდევ ერთი გამოკვლევის მიხედვით, სწავლულებმა დაადგინეს, რომ ბავშვებს, რომელთაც ნაწლავის ქივიტი ჰყავთ, შედარებით დაბალი ინტელექტი აქვთ, ვიდრე მათ ჯანმრთელ თანატოლებს, რასაც მკვლევარები იმით ხსნიან, რომ ინფექციური დაავადებები ორგანიზმს ტვინის განვითარებისთვის აუცილებელ ენერჯიას ართმევს.



## ხანდაზმული მამაკაცი ქალი აღმოჩნდა

66 წლის ჰონგკონგელ მამაკაცს, ექიმთან ვიზიტისას შოკისმომგვრელი ინფორმაცია ელოდა — მედიკოსებმა პაციენტს განუცხადეს, რომ სინამდვილეში, იგი ქალია. ადგილობრივი სამედიცინო ჟურნალის ინფორმაციით, სპეციალისტებმა მამაკაცის გამოკვლევის შედეგად აღმოაჩინეს, რომ მისი მუცლის შეხვედრა საკვერცხებზე არსებული დიდი ზომის კისტის ბრალი იყო. ექიმებმა მამაკაცს ადრენოგენიტალის (თანდაყოლილი თირკმელზედა ჰიპერპლაზია) სინდრომის დიაგნოზი დაუსვეს, რაც მამაკაცური ჰორმონების ქარბი წარმოქმნის შედეგია და გოგონებში კაცის სასქესო ორგანოს მსგავს წარმონაქმნსაც იწვევს. გარდა ამისა, პაციენტს ტერენის სინდრომიც აქვს, რომელიც უშვილობას განაპირობებს და ზრდას აფერხებს (ჯუჯა ზომებს). როგორც მედიკოსები აცხადებენ, რომ არა საკვერცხებზე განვითარებული კისტა, ეს შემთხვევა ცნობილი ვერასოდეს გახდებოდა. როგორც პაციენტი აცხადებს, ამ გამოგონებელი ინფორმაციის მიღების შემდეგ, არ აპირებს ცხოვრების წესის შეცვლას და კვლავ მამაკაცად დარჩენა სურს.



ადვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი

			1	9		7		
7		6			5			9
				7		8	3	
8	1							4
	7						9	
5							2	3
	6	8		5				
4			9			2		6
		7		2	4			

5	6							
		3			5	9		
		9	7	6				
	5		8			2	6	1
	8			5			3	
1	7	6			2		8	
				4	9	6		
		1	5			7		
							9	5

4				1		9		
	5		4		7	3		
			9			2		
7	6					5		
	1	5				6	3	
		3					7	8
	7				1			
	1	5		4		2		
4		2						6

	9	5						
1			9					6
		3		5	6			
	3		8	7		9		
	8			6			4	
		7		4	3			1
			7	2		4		
	4				8			
						6	3	

„ათწლეულის ქალები“ გამოავლინეს



მანდილოსნებისთვის განკუთვნილმა პოპულარულმა ჟურნალმა Glamour თავისი ყოველწლიური პრემია Women Of The Year გასცა. ცერემონიაზე, რომელიც ცოტა ხნის წინ გაიმართა, ცნობილი მსახიობები, მომღერლები, ტელეწამყვანები, დიზაინერები, სპორტსმენები და სხვა პროფესიის წარმომადგენელი მშვენიერი ქალბატონები იწონებდნენ თავს. ერთ-ერთი მთავარი ჯილდო ამ სადღესასწაულო ღონისძიებაზე Spice Girls-ის ყოფილმა წევრმა, მოდელიორმა და დევიდ ბექჰემის მეორე ნახევარმა, 39 წლის ვიქტორია ბექჰემმა დაიმსახურა — იგი „ბოლო ათწლეულის მთავარ ქალბატონად“ აღიარეს. ცერემონიაზე ვიქტორია 14 წლის შვილთან, ბრუკლინთან ერთად მივიდა და, როგორც ყოველთვის, უნაკლოდ გამოიყურებოდა. ასეთი ჯილდოს მიღების შემდეგ ქალბატონმა ბექჰემმა მადლობა დედას გადაუხადა და აღნიშნა, რომ ქალები ერთმანეთს მხარში უნდა დაუდგნენ. ცერემონიაზე ჯილდოები ერგოთ მშვენიერი სქესის სხვა ცნობილ წარმომადგენლებსაც — საუკეთესო კინემატოგრაფისტად რამიდა ჯონსი დასახელდა, საუკეთესო მომღერლად გამოცემამ რიტა ორა აღიარა, მსახიობად — რებელ უილსონი, საუკეთესო ტელეწამყვანი კი ნიკოლ შერზინგერი აღმოჩნდა. ჟურნალმა წლის მთავარ მამაკაცად პოპულარული მსახიობი, „პარი პოტერი“ — დენიელ რედკლიფი დაასახელა.



ძვედი საკვები მკერდს აჰაფარავებს?

როგორც შვედი სწავლულები აცხადებენ, თუკი ქალს სურს, რომ მკერდის ბუნებრივი სილამაზე შეინარჩუნოს, აუცილებელია, მხოლოდ ახლად მომზადებული კერძი მიირთვას. მკვლევარებმა ექსპერიმენტში მონაწილე მანდილოსნები სამ ჯგუფად დაყვეს: პირველი ჯგუფის წევრებს მხოლოდ ახლად მომზადებული საკვებით ამარაგებდნენ, მეორეს იმ პროდუქტებს აძლევდნენ, რომელიც მაცივარში რამდენიმე საათი ინახებოდა, მესამე ჯგუფის წევრ მოხალისეებს კი რამდენიმე დღით ადრე მომზადებულ კერძს აჭმევდნენ. ექსპერიმენტი ერთი წელი გაგრძელდა და შედეგი ვიზუალურადაც შესამჩნევი იყო — მესამე ჯგუფის გოგონების მკერდი ერთი ზომით დაპატარავდა. უფრო ადრე ჩატარებული გამოკვლევით კი ისიც დადგინდა, რომ მანდილოსნებისთვის საყვარელ გამამხნეველ სითხეს — ყავას შეუძლია მათი ბიუსტის ზომა შეამციროს.



სიგამხდრე ორგანიზმისთვის მავნებელია

ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი სწავლულები. მათ მიერ ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ სიგამხდრე ორგანიზმის ნაადრევ დაბერებას იწვევს. ეს განსაკუთრებით იმ ადამიანებს ეხება, ვინც გამუდმებით დიეტაზეა და უარს ამბობს კალორიული საკვების მიღებაზე. საკმაოდ ხანგრძლივი, 21-წლიანი კვლევის დროს დიეტოლოგები 600 მოხალისის მეტაბოლიზმის სიჩქარესა და სიცოცხლის ხანგრძლივობას ადარებდნენ. ამ პერიოდის განმავლობაში, მეცნიერებმა ზუსტად დაადგინეს ენერჯიად საკვების გარდაქმნის სიჩქარე, ისინი ზომავდნენ გულისა და ფილტვების მუშაობაზე დახარჯულ ენერჯიასაც. აღმოჩნდა, რომ სწრაფი მეტაბოლიზმის მქონე ადამიანები უფრო ადრე ილუპებოდნენ, ვიდრე მათი მსუქანი თანატოლები. რაც უფრო მაღალია მეტაბოლიზმის ენდოგენი ანუ ორგანიზმის მიერ გახარჯული ენერჯია ნორმალური ფუნქციონირებისთვის, მით მეტია ახალგაზრდა ასაკში გარდაცვალების რისკი. ასე რომ, ადამიანს, რომელიც სწრაფი ნივთიერებათა ცვლის წყალობით, უნაკლო აღნაგობის გამო არ იღებს კალორიების დიდ რაოდენობას, ნაადრევი დაბერება ელის. თუმცა, მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ეს არ ეხება სპორტით დაკავებულ ადამიანებს. ფიზიკური ვარჯიში უდავოდ აჩქარებს მეტაბოლიზმს, მაგრამ ის დადებით გავლენას ახდენს ორგანიზმზე.

# დასვის პოლიცია მოხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.



GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- სანვაის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

**GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასო).



## შინდამა ყოველწინა ღვთისმშობლის „ყოველთა დედის – პანტანასას“ სასკოლის დღიური „ყოველთა დედის სახანა“

„ყოველთა დედის პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებთა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოპედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამოხრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირამი 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაცივება საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები.

მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯგოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილიანის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალა შეიხიროთ. პანტანასას ღვთისმშობელა დაგლოსოთ!**

### Appraisal.ile

შპს „აპრაისალი“ გთავაზობთ.

**უპრავი და მოქრავი ქონების შეფასება**

**ალექსანდრა შურხელაძე**

**მისამართი: ნუსუბიძის №16ა**

**ტელ.: (5)99 22 98 33**

**ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com**

### სასარგებლოა თუ არა ჩაი?

დიდი ხანია ცნობილია, რომ ჩაი დაძაბულობას ხსნის და ადამიანს ხანგრძლივი დროით კონცენტრაციის უნარს უმაღლებს. უამრავმა მეცნიერულმა კვლევამ დაადასტურა ჩაის სასარგებლო თვისებები, რომელსაც ანტიბაქტერიული ეფექტიც აქვს, ტკივილსაც აყუჩებს და ორგანიზმში ქოლესტერინის დონესაც აქვეითებს. ჩაი ადამიანის ორგანიზმს სითხით ამარაგებს, ანტიოქსიდანტებისა და ვიტამინების წყალობით კი, იმუნურ სისტემას აძლიერებს; მწვანე ჩაის შემადგენელი ნივთიერებები პარკინსონისა და ალცჰეიმერის დაავადებების რისკს ამცირებს, შავი ჩაი კი, როგორც სწავლულები ამტკიცებენ, კბილების ნადებზე არსებულ ბაქტერიებს ანადგურებს, შეიცავს დიდი რაოდენობით ფტორს, კალციუმს, რკინას, კალიუმს, მაგნიუმსა და თუთიას, მწვანე ჩაიში კი განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა „ცე“ და „ბე“ ჯგუფის ვიტამინები.

## ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.  
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

UDC(უპაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი  
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77  
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი  
მედიკავტორი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,  
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,  
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.  
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე  
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე  
ტელ: 590 740999; 2942399



დაცულია საავტორო უფლებები.  
რედაქციაში შემოსული  
მასალები უკან არ ბრუნდება.  
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა  
და ინფორმაციის სიზუსტეზე  
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის  
შემთხვევაში დაგვიკავშირდით  
14 დღის განმავლობაში.